



ლიბეჩანი

№ 123 / 11 - 17 თებერვალი / 2013



ISSN 1987-7528



9 771987 752008

შანი 2 ლარი



სანახაშვიდთან ჯიჲთანე,  
თუ სანახაშვიდის ბაჲეშე

83.14


სადაც არის

# რაც დარჩა სათქმელი

ყოვანი შაბათს 22:00

შენვინაობა  
შენვინაობა ყოვანობის  
არაა რაღაც თქმელი,  
ო, რაც ყველაზე მეტად  
საინტერესოა.

საინტერესოა, ვინა  
ყოვანობის რაც  
სათქმელი.





ლიბერალი

№ 123 / 11 - 17 თებერვალი / 2013

**მთავარი რედაქტორი**

შორენა შვერდაშვილი

**აღმასრულებელი რედაქტორი**

ნინო ბექიშვილი

**რედაქტორები**

ლიკა ზაკაშვილი

ირაკლი აბსანძე

**შურნალისტები:**

ზურაბ ვარდიანი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭიჭიანი, სოფო აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ღვინჯიანი

**კონტრიბუტორები:**

ჩარლზ ფერბენქსი, ნათია ბილიძე, ოლეგია ვარდანიანი, მარი როჭიკაშვილი

**რედაქცია:**

ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნათია ორმოცაძე

**გამომცემლობა:**

დირექტორი

ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და პრინციპების

მენეჯერი

რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:

ქეთევან ქავთარაძე

მარკეტინგის მენეჯერი:

ია შენგელია

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

შურნალის გამომწერის მსურველები

დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

# რედაქტორის სვეტი



„ლიბერალის“ ამ ნომერზე მუშაობა 8 თებერვლის გვიან ღამით დავასრულეთ. უფრო სწორად ცხრაში, გამთენიისას. 8 თებერვალი რთული დღე იყო. პრეზიდენტ სააკაშვილის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაგეგმილი გამოსვლა ქუჩაში შეკრებილ დემონსტრანტებსა და საპარლამენტო უმცირესობის წევრებს შორის შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ჰაერში კვლავ დატრიალდა ტესტოსტერონისა და ირაციონალური ზიზღის სუნი. ვილაცები სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეზე ალაპარაკდნენ.

არ ვიცი, სხვა რომელ ქვეყანაში შეიძლება ადამიანმა ასე ხშირად განიცადოს დეჟავიუ. ბავშვობიდან პერიოდულად მეუფლება ხოლმე შეგრძნება, რომ დანყველილ წრეზე ვტრიალებთ. თუმცა, ამაზე ხმამალა რომ ვსაუბრობთ და ვწუნუნებთ, უკვე პროგრესია. ყველა ფსიქოთერაპია ასე იწყება – ჯერ კარგად უნდა დაინახო და შეიგრძნო მდგომარეობის სირთულე, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებ თავის დაღწევას.

როცა ამ სვეტს კითხულობთ, ალბათ, უკვე ბევრად მეტი იცით 8 თებერვლის ინციდენტზე, ვიდრე მე ახლა. შესაძლოა, დამნაშავეები უკვე გამოვლენილია; ალბათ, ისიც დანამდვილებით იცით, იყო თუ არა ბიბლიოთეკის შესასვლელთან პოლიციის კორდონი, რომლითაც მიწვეულ სტუმრებს უნდა ესარგებლათ.

ამ ნომერში „ნაციონალური მოძრაობის“ მომავალზე ვწერთ. რატომღაც დარწმუნებული ვარ, ამ პარტიის ბედი დიდწილად განსაზღვრავს, რამდენად ხშირად აღმოვჩნდებით დეჟავიუს წინაშე. შევძლებთ თუ არა, გავარღვიოთ დანყველილი წრე.

თქვენი არ ვიცი და მე უკვე კარგა ხანია მეხვევა თავბრუ.


ირაკლი აბსანძე, პოლიტიკის რედაქტორი



## საახაშვიდითან ერთად, თუ საახაშვიდის ბაჩაშა

8 თებერვალს მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ცხრანახევარი წლის მანძილზე პირველად უპასუხა ჟურნალისტების წინასწარ მოუზღაბებელ შეკითხვებს. იმავე დღეს, ცოტა ხნით ადრე იყო სახე დასისხლიანებული ჩიორა თაქთაქიშვილი, ხალხის აგრესიულ მასაში ხმამაღალი შეძახილებით გადაშვებული გიგი უგულავა, ბევრი გაბრაზებული ადამიანი, დაბნეული პოლიცია და სიტუაციის განსამუხტად გამოჩენილი შინაგან საქმეთა მინისტრი.

8 თებერვალს პრეზიდენტს ქართველი ხალხისათვის ეროვნული ბიბლიოთეკიდან უნდა მიემართა. დარბაზში დიპლომატები, სტუდენტები და საპარლამენტო უმცირესობის წევრები უნდა მსხდარიყვნენ. მათ შორის ჟურნალისტებიც, მაგრამ არა მათი უმრავლესობა, ვის მიწვევასაც პრეზიდენტის პრესმდივანი მანანა მანჯგალაძე ორი დღის განმავლობაში დიდი რუდუნებით ცდილობდა.


 ირაკლი აბსანძე  
83.14

## ზუზის ყვავილობის მოცოლინში

სტიქიის შემდგომი რეაბილიტაციის საკითხი 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, პოლიტიკური პარტიებისთვის კამპანიის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა. ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნოდ დარიცხული მრავალმილიონიანი ჯარიმა გადაიხადა და განაცხადა, რომ ეს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გააკეთა.


მაშინდელმა ხელისუფლებამ ივანიშვილის ნაბიჯი ქველმოქმედებად არ მიიღო. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ხშირად ნახავდით ცნობილ პოლიტიკოსებს, რომლებიც ტელეკამერების თანხლებით სავსე სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ. არჩევნების შემდეგ დაზარალებულ რეგიონში მათი აქტივობა აღარ შეინიშნება. დღეს კი კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის ფონდი „ქართუ“ კომპენსაციებს არიგებს. ამ მიზნით 100 მილიონ ლარამდე გამოიყო. ფულის დარიგება მცირემაშსტაბიანი, ლოკალური საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობს. მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ დახმარება უსამართლოდ ნაწილდება.



 ზურაბ ვარდიაშვილი  
83.28

## მძიმე მახვილხეობა

2013 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 180 მილიონით გაიზარდა, გადაიღო სამინისტროს გაუქმებაც. მინისტრი ამბობს, სამინისტროში მძიმე მეკვიდრეობა დახვდა. მძიმე მემკვიდრეობის გარდა, მას სერიოზული გამოწვევებიც აქვს – ინფრასტრუქტურული პროექტების გაგრძელება და 2014 წლისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის თვითმმართველობის ახალი კონცეფციის მომზადება.

 თინა ყიფშიძე  
83.10

## ჩახალიანის საქმე


ის, რომ ჩახალიანის სახელი ორ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკს შორის განტეხვის ვაცად იქცეოდა, მაშინვე ცხადი გახდა, როცა პარლამენტში წინადადება შევიდა, რომ ის პოლიტიკური პატიმრების სიაში შეეყვანათ. ამ ინიციატივით ომბუდსმენი, უჩა ნანუაშვილი გამოვიდა. მისი ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ადვოკატები რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები დაერწმუნებინათ, რომ ჩახალიანის საქმე შეეკერეს და ის ციხეში მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ „ახალგაზრდა ჯავახის“ სხვა წევრებისგან განსხვავებით, კატეგორული უარი განაცხადა ეთანამშრომლა „ნაციონალებთან“.

 ოლესია ვართანიანი  
03.24


### უჩხანისუხი ბაშოქიება

## მექვირა მთავრობა



 მარი როჭიკაშვილი  
03.38

### ნომერში:



ფოტო: სერჟი ბოლუაშვილი

- 04 მოკლედ  
**ორი აზრი**
- 06 უნდა განისაზღვროს თუ არა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი კონსტიტუციით?  
*გიორგი კანდელაკი VS ლევან ბერძენიშვილი*  
**თვალსაზრისი**
- 08 ემუქრება თუ არა „ნაციონალურ მოძრაობას“ წითელ წიგნში მოხვედრა?  
**ინტერვიუ**
- 10 მძიმე მეკვიდრეობა  
**პოლიტიკა**
- 14 სააკაშვილთან ერთად, თუ სააკაშვილის გარეშე
- 22 კოჰაბიტაცია ქუთაისურად
- 24 ჩახალიანის საქმე  
**მთავარი თემა**
- 28 ვაზის ყვავილობის მოლოდინში  
**ჟურნალისტური გამოძიება**
- 38 მექვირე მთავრობა  
**მედია**
- 42 ვინ აკონტროლებს საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორს
- 48 **ციტატები**

### გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

### სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ სააქტუო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

### ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

## ესპანელი ჰემიერ-მინისტრი ბადაბოვას ითხოვს



ესპანეთის მოქმედი პრემიერ-მინისტრის, მარიანო რახოს გადადგომის პეტიციას ხელი მილიონზე მეტმა ესპანელმა მოაწერა. მარიანო რახოს, რომელიც მემარჯვენე-ცენტრისტული ორიენტაციის ესპანეთის სახალხო პარტიის წარმომადგენელი და არჩეული პრემიერ-მინისტრია, კორუფციაში ადანაშაულებენ. რახოს წინააღმდეგ კამპანია მას შემდეგ დაიწყო, რაც გაზეთმა „El Pais“-მა სახალხო პარტიის ყოფილი ფინანსური მენეჯერის მიერ დაწერილი პარტიის საბუღალტრო აღრიცხვები გამოაქვეყნა. რახოს გადადგომის გარდა ესპანელები კორუფციაში გარეული ყველა საჯარო მოხელისა და სახალხო პარტიის თანამდებობის პირის გათავისუფლებას მოითხოვენ.

## საქართველოში სამი საინვესტიციო ფონდი შეიქმნება

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით საქართველოში სამი საინვესტიციო ფონდი შეიქმნება: საქართველოს სუვერენული ფონდი, კერძო საინვესტიციო ფონდი და სამეცნიერო ინოვაციებზე ორიენტირებული ფონდი. საქართველოს სუვერენული ფონდი, რომლის კაპიტალიც 2 მილიარდი ამერიკული დოლარი იქნება, სახელმწიფო პროექტების დაფინანსებით იქნება დაკავებული. ასეთივე ბიუჯეტი ექნება კერძო საინვესტიციო ფონდს, რომელსაც მსხვილი ქართველი ბიზნესმენები შექმნიან. საინვესტიციო ფონდი ორიენტირებული უცხოური ბიზნესების მოზიდვასა და საქართველოში

მათი პროექტების ქართველ საქმოსნებთან ერთად თანადაფინანსებაზე იქნება ორიენტირებული. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ასეთი ფონდის არსებობა უცხოელ ინვესტორებს სტაბილურობის გარანტიას შეუქმნის. ბიძინა ივანიშვილი კერძო საინვესტიციო ფონდში საკუთარი კაპიტალის ნაწილის შეტანასაც აპირებს. რაც შეეხება სამეცნიერო ფონდს, ის ახალგაზრდა მეცნიერების დაფინანსებასა და ინოვაციურ პროექტებზე იქნება ორიენტირებული. პრემიერის განცხადებით, სამეცნიერო ფონდის არსებობამ მაღალი ტექნოლოგიების განვითარება უნდა უზრუნველყოს. საბოლოო ჯამში კი, სამივე ფონდის მუშაობით ეკონომიკის გრძელვადიანი და სტაბილური განვითარების მიღწევა შეიძლება, როცა ამ დრომდე აქცენტი მხოლოდ ტურიზმის მსგავს მოკლევადიან პროექტებზე კეთდებოდა.

## ბაჩანიის ბანათების მინისტრი უპასუხა ბანათების ბაჩაშ დიჩჩა




გერმანიის განათლების მინისტრს, ანეტა შვანს პლაგიატის ბრალდებით სამეცნიერო ხარისხი გაუუქმეს. ანეტა შვანამ სამეცნიერო ხარისხი 1980 წელს დაიცვა ჰაინრიჰ ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, ნაშრომით „პიროვნება და სინდისი: თანამედროვე ღირებულებითი საფუძვლების ფორმირების წინაპირობების, საჭიროებების და მოთხოვნების კვლევა“. ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენა საიტ VroniPlag Wiki-ის დახმარებით გახდა შესაძლებელი, რომელიც სამეცნიერო

ნაშრომების პლაგიატზე შემოწმებაზეა ორიენტირებული. ამის შემდგომ, დიუსელდორფის ფილოსოფიური ფაკულტეტის საბჭომ შვანს აკადემიური ხარისხი გააუქმა. ხოლო გერმანურლი განათლების სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შვანი უმაღლესი განათლების ხარისხის გარეშე დარჩა, რადგან სადიპლომო ნაშრომად სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაწერილი შრომა ითვლებოდა. ოპოზიციონერი სოციალ-დემოკრატები შვანის გადადგომას მოითხოვენ, თუმცა შვანი უნივერსიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. პლაგიატის გამო დოქტორის აკადემიური ხარისხი უკვე ჩამოართვეს გერმანიის პრეზიდენტსა და თავდაცვის მინისტრსაც, რის გამოც ორივე მათგანმა თანამდებობა დატოვა.

## ავსტრალიაში "ბუბლი" ჩაქანის ქსუსისმბაბოლისაგან ბათაჟისუქდას

ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ კორპორაცია გუგლი საძიებო სისტემის გვერდზე განთავსებული რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა. სასამართლოს გადაწყვეტილება 6 წლიან დავას ასრულებს, რომელიც ავსტრალიის მომხმარებელთა და კონკურენტის კომისიის საჩივრის საფუძველზე დაიწყო. „გუგლის“ საძიებო სისტემაში საძიებო მოთხოვნის „Honda Australia“-ს შეყვანისას მომხმარებელი გუგლს ჰონდას კონკურენტი კომპანიის CarSales-ის საიტზე გადაყავდა, რაც კომისიამ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანად შეაფასა. „გუგლის“ განცხადებით, ის მხოლოდ სარეკლამო სივრცეს ქმნის და რეკლამის პირობებს მისი დამკვეთები ადგენენ. 2011 წელს სასამართლომ კორპორაცია გაამართლა, თუმცა 2012-ში მომხმარებელთა კომისიის აპელაცია დააკმაყოფილა და „გუგლს“ ჯარიმა დააკისრა. უზენაესმა სასამართლომ კი ამჟამად მისი ქვემდგომი ინსტანციის განაჩენი გააუქმა. თუმცა სასამართლოს ჩარევის შედეგად ამჟამად ავსტრალიური ჰონდას



მოთხოვნაზე საძიებო სისტემა მხოლოდ ჰონდას ადგილობრივი წარმომადგენლობის ვებგვერდს უჩვენებს ინტერნეტმომხმარებელს.

**ავლანეთში აოჩაფსიის ჩაქოხლანი ნიშნები აღმოჩნდა**

„Associated Press“-ის ინფორმაციით, ავლანეთში კორუფციის რეკორდული ნიშნული დაფიქსირდა, რომელმაც წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტი თითქმის ოთხი მილიარდით დააზარალა. ამ თანხის ნახევარი საჯარო მოხელეებმა რიგითი მოქალაქეებისგან აიღეს. ქრთამის მოცულობის და სიხშირის ზრდასთან ერთად, ქრთამის გადამხდელთა რაოდენობა 2009 წელთან შედარებით 40%-ით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს მოხელეებისთვის ქრთამის შეთავაზების საშუალება არ გააჩნია და ისინი სახელმწიფო მომსახურებების მიღმა რჩებიან.

ერთ-ერთი ყველაზე კორუფციული სფერო განათლების სისტემა აღმოჩნდა. 2009 წელს განათლების სისტემაში მასწავლებლებს ქრთამს მოსწავლეთა 16% უხდიდა, 20120 წელს კი ეს რაოდენობა 51%-მდე გაიზარდა. ქრთამის უმრავლესობას ავლანელები სასურველი ნიშნის მისაღებად ან გამოცდების ვარიანტების წინასწარ გასაგებად იხდიან. ავლანეთის პრეზიდენტი, ჰამიდ კარზაი მოსახლეობას კორუფციის აღმოფხვრას რეგულარულად ჰპირდება,

თუმცა ამ ამოცანას მთავრობა თავს ჯერჯერობით ვერ ართმევს.

**მუსლიმური დინოზავრების ბადაშენებას ახსიახლის უაჯუიხიხა**


ჟურნალმა „Science“-მა დინოზავრების გადაშენების შესახებ ახალი კვლევა გამოაქვეყნა. კვლევა იმ მეცნიერთა მოსაზრებებს აძლიერებს, ვინც დინოზავრების გაქრობას 66 მილიონი წლის წინ დედამიწაზე ჩამოვარდნილი ასტეროიდი თხსნის. ამ თეორიის ოპონენტები ამ დრომდე მიუთითებდნენ, რომ დედამიწაზე დიდი ასტეროიდის ჩამოვარდნიდან დინოზავრების გაქრობამდე 300 ათასმა წელმა განვლო და ამიტომ ამ მოვლენების დაკავშირება არადადასტურებული იყო. თუმცა, რადიოაქტიური იზოტოპების ახალმა კვლევებმა აჩვენა, რომ გიგანტური ხვლიკები პლანეტაზე ამ ასტეროიდის ჩამოვარდნიდან სულ რაღაც 30 ათასი წლის შემდეგ გაქრენ. მეცნიერების ვარაუდით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიოლოგიური სახეობა ისედაც განადგურების პირას იყო, კოსმიური ობიექტის ჩამოვარდნის შედეგებმა ეს პროცესი საბოლოოდ დააგვირგვინა.

**ჰაჰა ახალ ბჟინაში 20 წლის ახალი ჯანსჯისთვის დასაჯეს**

6 თებერვალს მაუნტ-ჰაგენსში, პაპუა-ახალ გვინეას ერთ-ერთ უმსხვილეს ქალაქში 20 წლის კეფარი

ლენიატუ ჯადოქრობის ბრალდებით დასაჯეს. მცირეწლოვანი ბიჭის ჯადოქრობის გამოყენებით მკვლელობაში დაადანაშაულეს და გარდაცვლილის ნათესავებმა თვითნებური სასამართლო მოუწყვეს.

ახალგაზრდა ქალი ქალაქის მთავარ მოედანზე ხალხის თვალწინ კოცონზე ცოცხლად დაწვეს. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ და სასწრაფო დახმარებამ კეფარი ლენიატუს შველა ვერ მოასწრო.

პოლიციამ ფაქტის გამოძიებისა და დამნაშავეთა მკვლელობის ბრალდებით დასჯის პირობა დადო. ლენიატუს გარდაცვალების ნათესავები ორი სხვა ქალის დაწვასაც აპირებდნენ იმავე ბრალდებით. ერთ-ერთი მათგანის გადარჩენა პოლიციამ შეძლო, მეორე კი ამ დრომდე დაკარგულად ითვლება. ახალ გვინეაში მშობლები საკუთარი შვილების გარდაცვალების მიზეზად ხშირად მიიჩნევენ მაგიას და მათი შურისძიების ობიექტები, როგორც წესი, ქალები ხდებიან. 



## ღიას

**გიორგი კანდელაკი**  
„ნაციონალური მოძრაობა“

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური საგარეო პოლიტიკური კურსის კონსტიტუციაში დაფიქსირება სწორედ რომ დროული და აუცილებელია.

ეს შეიძლება ჩაინეროს როგორც კონსტიტუციაში, ასევე, შეიძლება შექმნას სპეციალური კონსტიტუციური კანონი, რასაც იგივე ძალა აქვს. მაგალითად, ასეთი კანონი ლიტვაში მოქმედებს.

პირველი ეროვნული მთავრობის არჩევნებში დამარცხების შემდეგ, ამ ქვეყანაში საჭირო გახდა, რომ შექმნილიყო ევროატლანტიკური საგარეო კურსის გრძელვადიანობის მყარი გარანტიები. ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ მიუხედავად მთავრობის შეცვლისა, ქვეყანას ცალსახად უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ის სწორი კურსით ივლის. ლიტვა იმიტომ მოვიყვანე მაგალითად, რომ ჩვენ ხშირად გვადარებენ, ამ ქვეყანამ თითქმის ჩვენნაირი განვითარების ეტაპი გაიარა, ჩვენსავით საბჭოთა სისტემის მიერ ოკუპირებული იყო და მგონი, ცალსახაა იმ იდეის სისწორე, რომ საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს ეს საკითხი.

გარდა ამ გრძელვადიანი გარანტიებისა, საქართველო საგარეო კურსის არჩევის თვალსაზრისით ამ დროისთვის სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არაა, საქართველოს პარტნიორი ქვეყნებიც უკვე აქტიურად მსჯელობენ, რომ საჭიროა რაიმე სახის ნაბიჯების გადადგმა ამ მხრივ. უმრავლესობის მოღვაწეობის ასი დღის თავზე საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების სფეროში სრულმასშტაბიანი ფიასკოა, რომლის არდანახვაც სიბრძნევე იქნება.

კიდევ ვიმეორებ, საგარეო პოლიტიკური კურსის კონსტიტუციაში ჩანერა ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის გრძელვადიან გარანტიებს შექნის. ზეაგრესიული დამოკიდებულება კი, რომელიც პრემიერ-მინისტრმა, ასევე პარტიისა და მთავრობის რამდენიმე წამყვანმა ლიდერმა გამოავლინა, ფიქრობ, სხვა არაფერია, თუ არა თვითლუსტრირება.

საგარეო კურსის ამ გზით განსაზღვრა ძალიან რეალურია და წესით, არაფერი წინ არ უნდა დაუდგეს ამის განხორციელებას. **■**



საპარლამენტო კომპლექსი

## უნდა განისაზღვროს პოლიტიკური ხელის

### ■ საქართველოს პარტნიორი ქვეყნებიც

უკვე აქტიურად მსჯელობენ, რომ საჭიროა რაიმე სახის ნაბიჯების გადადგმა ამ მხრივ. უმრავლესობის მოღვაწეობის ასი დღის თავზე საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების სფეროში სრულმასშტაბიანი ფიასკოა, რომლის არდანახვაც სიბრძნევე იქნება.





**არა**

**ლევან ბერძენიშვილი**

*რესპუბლიკური პარტიის წევრი*

პირადად მე მიმაჩნია, რომ ქვეყნის პოლიტიკური კურსი სადმე რომ აისახოს, დრამატული არაა, მაგრამ იურისტები ამბობენ, რომ ამის ადგილი კონსტიტუციაში არაა.

მორალური თვალსაზრისით კი, ძალიან ცუდია, როდესაც ქვეყანას ისეთი ხელისუფლება ჰყავს, რომელიც საკუთარ თავს არ ენდობა და საგარეო კურსის კანონით განსაზღვრავს აუცილებლად მიიჩნევს.


უმცირეობას შევთავაზებ, რომ გამოიცივოს საპარლამენტო აქტი, რომელშიც ყველა ფრაქცია და პარლამენტარი საპარლამენტო კურსის კონკრეტიზაციის მიზნით ფიცს დადებს. ამ იდეას არ ვენიანალმდეგებით, პირიქით, უმცირეობას იქამდე შევთავაზებ, რომ შეიქმნას ინტერაქციული ჯგუფი, რომელშიც ავსახავთ ჩვენს დასავლურ ღირებულებებს.

ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე გადანწყვეტილებას მივიღებთ და ამაზე საუბარი ამოიწურება.

უმცირეობის გადასაწყვეტი არაა, კონსტიტუციაში უნდა ეწეროს თუ არა ქვეყნის საგარეო კურსი. ძალიან მიკვირს, რომ ისინი ამაზე საუბრობენ, მაშინ, როცა მთელი ცხოვრება კონსტიტუციას ცვლის, მთლიანად გაანადგურებს. ახლა კი, გვთავაზობენ მის დაცვას.

ამ წუთას დაცვა კი არა, კონსტიტუციას გამოსწორება სჭირდება.

მომხრე ვარ, რომ კონსტიტუცია დავიცვათ, მაგრამ არა ისეთ პირობებში, რომელშიც პრეზიდენტი შეუზღუდავი უფლებამოსილებით სარგებლობს.

ნაციონალების ამ მოსაზრებას, ზოგადად, ორი მანკიერი მხარე აქვს, კერძოდ, კითხვაზე - პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს თუ არა უფლება, დაითხოვოს ან დანიშნოს მთავრობა, გვიპასუხებს, რომ ჩაგვანერინეთ საგარეო კურსი და მაშინ გავცემთ პასუხსო. თან მთავარ მიზნად კონსტიტუციის დაცვას ასახელებენ, ამ დროისთვის კი კონსტიტუცია ძალიან სუსტი იურიდიული დოკუმენტია. ის უბრალოდ არ მოქმედებს, მაგალითად, პრეზიდენტის უფლებამოსილების აღსრულება ვერ ხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის არ ფლობს ძალას, დანიშნოს ძალოვანი მინისტრები, ანუ კონსტიტუციით აქვს ამის უფლება, მაგრამ რეალობა არ აძლევს საშუალებას. ამიტომ ამ დროისთვის ქვეყნის მთავარი მიზანი კონსტიტუციაში საგარეო კურსის განსაზღვრის მაგივრად, მისი გამოსწორება და რეალობისთვის მორგებაა. 

# თუ ახა ქვეყნის საბაზო ანი ხონსტიტუციით?

**■ უმცირეობის გადასაწყვეტი არაა, კონსტიტუციაში უნდა ეწეროს თუ არა ქვეყნის საგარეო კურსი. ძალიან მიკვირს, რომ ისინი ამაზე საუბრობენ, მაშინ, როცა მთელი ცხოვრება კონსტიტუციას ცვლის, მთლიანად გაანადგურებს. ახლა კი, გვთავაზობენ მის დაცვას.**

# ემაჩიება თუ ახა "ნაციონალური მოძრაობის" ნითად ნიბნში მოხვედრა?

ჩარლზ ფერბენქსი, ილიას უნივერსიტეტის საბჭოთა კვლევების სრული პროფესორი და ვაშინგტონის ჰადსონის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარია. ასევე მუშაობდა რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში.

დაახლოებით, „ნაციონალური მოძრაობა“ მართლაც უღალატა იმ დემოკრატიულ მოლოდინებს, რომელმაც ის 2003 წელს ხელისუფლებაში მოიყვანა, თუმცა, დღევანდელ პირობებში საქართველოს ეს პარტია უღალად სჭირდება. დემოკრატია სერიოზული ოპოზიციის გარეშე ვერ იარსებებს და ამ ეტაპზე ნაციონალური მოძრაობა ერთადერთი ასეთი ძალაა. ბიძინა ივანიშვილს ოპოზიციის როლი კარგად ესმის და ფიქრობს, რომ მის კოალიციაში შემავალი პარტიები გაუწევენ ერთმანეთს კონკურენციას. ნათელია ისიც, რომ ამან შეიძლება დაშალოს კოალიცია, რომელიც საქართველოს ჯერ კიდევ სჭირდება, ასევე ყურადღების მიღმა რჩება ივანიშვილის ფულის ფაქტორი. პრემიერის რჩეული პარტიები ბევრად უკეთეს იმუშავენ, ვიდრე ისინი, რომლებსაც ის არ დააფინანსებს.

მეც კი გამაკვირვა იმან, რომ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI-ის) ნოემბრის გამოკითხვაში „ნაციონალური მოძრაობა“ გამოკითხულთა მხოლოდ 10-მა პროცენტმა დაასახელა პარტიად, რომელიც „ყველაზე ახლოსაა“ ამომრჩევლის პოლიტიკურ გემოვნებასთან. ახალი მთავრობის „თაფლობის თვის“ დასრულების შემდეგ, ამომრჩევლების ნაწილი, სავარაუდოდ, ისევ „ნაციონალური მოძრაობას“ დაუბრუნდება, თუმცა, ფაქტია, რომ მათი ძირითადი მხარდამჭერების რიცხვი ერთნიშნა ციფრს უმნიშვნელოდ ცდებდა. დაახლოებით ასეთივე გასაკვირია სააკაშვილის არაპოპულარულობა: ის გამოკითხულთა მხოლოდ 29 %-ს მოსწონს, ხოლო 51 % – არ მოსწონს. ეს მაჩვენებლებიც, მოვლენათა განვითარების ფონზე, საგრძნობლად დაიკლებს. „კოჰაბიტაცია“ და „თანამშრომლობა“, რომელსაც დასავლეთი ახალ ხელისუფლებას უკიჟინებს, სინამდვილეში უნდა შედგეს საზოგადოების ძალიან მცირე ჯგუფსა და ბე-

**■ მეც კი გამაკვირვა იმან, რომ NDI-ის ნოემბრის გამოკითხვაში „ნაციონალური მოძრაობა“ გამოკითხულთა მხოლოდ 10-მა პროცენტმა დაასახელა პარტიად, რომელიც „ყველაზე ახლოსაა“ ამომრჩევლის პოლიტიკურ გემოვნებასთან.**

ვრად დომინანტურ ძალას შორის. ხომ არ არის „ნაციონალური მოძრაობა“ ნითელი ნიგნისთვის განწირული? სხვა პოსტსაბჭოური პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, მას ჰყავს ნიჭიერი ლიდერები, იმაზე მეტი ერთგული მხარდამჭერი, ვიდრე ველოდი, ფული, ძლიერი შინაგანი დისციპლინა, მეტ-ნაკლებად ძლიერი იდეოლოგია, სიამაყე საკუთარი მიღწევების გამო და მმართველობის გამოცდილება. ნაკლებად სავარაუდოა, „ნაციონალური მოძრაობა“ ერთბაშად დაიშალოს, თუმცა არის არარეგულარული საშიშროება, თუ ის ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება, რასაც, კოალიციის გარეშე, ვერ მოახერხებს. მაგალითისთვის ავიღოთ ბრიტანელი ლიბერალ-დემოკრატები და მათი წინამორბედი ლიბერალები. თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის განმავლობაში, ისინი ხელისუფლებაში იყვნენ. დღევანდელი გამოკითხვებით მხარდამჭერთა 23% ჰყავთ, თუმცა 1916 წლის შემდეგ მმართველობა ვერ გადაიბარეს. პროპორციული წარმომადგენლობითობა, რომელიც ბრიტანეთს ასე აკლია, სასარგებლოა, თუმცა გერმანიაში თავისუფალი დემოკრატები 14,6 პროცენტით ისე მოვიდნენ, რომ მათ ქვეყნის ლიდერებად არავინ მოიაზრებდა. ისეთ ქვეყნებში კი, სადაც დემოკრატია ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ძალაუფლების ფლობის პოტენციალი ბევრად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია. ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერია, დაახლოებით 30-35%-იანი, რომლის ქვევითაც მყოფ პარტიას პოტენციურ უმრავლესობად არ მოიაზრებენ. როგორ მიაღწევს ამ ნიშნულს ნაციონალური მოძრაობა?

მხოლოდ უცხოეთის მხარდამჭერის ხარჯზე საკუთარ ქვეყანაში ისინი უპირატესობას ვერ მოიპოვებენ.



ფოტო: ლიონი ზოზუა

საკავშირი დინამოს სტადიონზე მხარდამჭერებს ხვდება, 28 სექტემბერი 2012

არჩევნების შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობა“ საერთაშორისო საზოგადოების აზრს ახალი მთავრობის წინააღმდეგ წარმატებით განაწყო. საერთაშორისო პრესაში მთავრობის დისკრედიტაციის წარმატებული კამპანია კი „ნაციონალურ მოძრაობის“ მხარდამჭერების რაოდენობას შინ ვერ გაზრდის. ამან, შეიძლება, პარტია, უბრალოდ, ოპოზიციური კურსის მხარდასაჭერად განაწყო.

გამოკითხულთა 63%-ისთვის „ქართული ოცნება“ ყველაზე მისაღები იყო, 80%-ს მოსწონდა ივანიშვილი, 7% კი – მხარს არ უჭერდა (რაც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა ძირითადი ბირთვია). „ქართული ოცნება“ მხოლოდ 2%-მა შეაფასა უარყოფითად, ხოლო ძალიან უარყოფითად – არცერთმა. დაპატიმრებების პროცესმა, რამაც უცხოელი ჟურნალისტები ასე აღაშფოთა, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების უმრავლესობაში შოკი ვერ გამოიწვია. უფრო საკვირველი ის არის, რომ თუ სწორად მახსოვს, ბოლო წლების გამოკითხვებში პოლიტიკური პარტია პირველადაა არმიაზე და პოლიციაზე პოპულარული. წინასწარჩვენო გამოკითხვის შედეგები წინასწარმეტყველებდა, რომ „ქართული ოცნების“ პოპულარულობა „მყიფე“ იყო და როგორც კი პრობლემების გადაწყვეტისას შეცდომებს დაუშვებდა, მისი რეიტინგი დაეცემოდა. შეკითხვაზე, „არის

თუ არა დღევანდელი საქართველო დემოკრატიული“ – სავარაუდო პასუხი „დიახ“ უნდა ყოფილიყო, თუმცა, გამოკითხულთა 43-მა პროცენტმა, მათ შორის, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა, კითხვას უარყოფითად უპასუხეს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ოცნების“ მხარდამჭერები უკმაყოფილო ხალხია და ისინი მეტ დემოკრატიას ელიან, რაც გაფრთხილება ახალი ხელისუფლებისათვის.

„ქართული ოცნების“ ლიდერთა რეიტინგის ზრდა პარტიისა და ივანიშვილის დამსახურებაა. წინა გამოკითხვების მიხედვით ისეთი არაპოპულარული პოლიტიკოსები, როგორებიც იყვნენ დავით უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი, დღეს ძალიან პოპულარულები გახდნენ (მაგალითად, ნოემბრის გამოკითხვებით უსუფაშვილი 63 %-ს მოსწონს, ხოლო 18%-ს – არა), ისევე, როგორც ირაკლი ალასანია და მისი პარტია. ეს, ალბათ პირველი და ერთადერთი შანსია ამ პარტიებისთვის თავისი ვინრო პარტიული ამბიციები ნამდვილ პოლიტიკურ ძალად აქციონ. მაგრამ საკითხავია, რამდენად მოახერხებენ ამ შანსის გამოყენებას, როცა ხელისუფლებაში ყოფნას ამხელა ენერჯია მიუქვს? თუ ამას ვერ შეძლებენ, ხელისუფლების ჩრდილქვეშ ისევე დაკარგავენ ხალხის მხარდაჭერას, როგორც ეს „ნაციონალურ მოძრაობას“ დაემართა, არჩევნებამდე. ■



ფოტო: ლევან სარგსიანი

# მძიმე მახვილხეობა

ინტერვიუ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ  
**დავით ნარმანიასთან**

2013 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 180 მილიონით გაიზარდა, გადაიღო სამინისტროს გაუქმებაც. მინისტრი ამბობს, რომ სამინისტროში მძიმე მეკვიდრეობა დახვდა. მძიმე მეკვიდრეობის გარდა, მას სერიოზული გამოწვევებიც აქვს – ინფრასტრუქტურული პროექტების გაგრძელება და 2014 წლისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩენებისთვის თვითმმართველობის ახალი კონცეფციის მომზადება.

**ივეგემბოდა სამინისტროს გაუქმება. თქვენც მიიჩნევდით, რომ მსგავსი ტიპის სამინისტროს არსებობა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიას ეწინააღმდეგება, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტები ეკონომიკის სამინისტროს პრეროგატივაა. რატომ გადაიღო სამინისტროს გაუქმება?**

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტიას, რომელსაც 2004 წელს შევეუბნეთ, ეწინააღმდეგებოდა ის, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი ცენტრალიზებული იყო, რეალური დეცენტრალიზაცია ქვეყანაში არ ხდებოდა და ამ სამინისტროში ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონულ განვითარებას ჩრდილავდა. ამიტომაც თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა იყოს ცალკე ან უდა ექცეოდეს განსაკუთრებული ყურადღება.

სამინისტროს გადმოხარების პროცესში სამინისტროს ინფრასტრუქტურულ პროექტებში ღრმად ჩაიხივდით, ვნახეთ რაც კეთდებოდა რეგიონული განვითარების კუთხით და მივხვდით, რომ შესაძლებელია ერთი სამინისტროს ქვეშ ორივე მიმართულება გაერთიანდეს. სამინისტროს 2013 წლის გეგმის პირველ აბზაცში წერია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება რეგიონული განვითარების წინაპირობაა. რეგიონული განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანი წინაპირობაა ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობა და ის, რომ ხალხი ადგილზე საკუთარი საჭიროების შესაბამისად იღებდეს გადაწყვეტილებას. ამიტომაც ჩვენ რადიკალურად შევცვალეთ მიდგომები რეგიონული განვითარების მიმართულებით და ნოემბერ-დეკემბერშივე მოვამზადეთ სტრატეგია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებასთან და დეცენტრალიზებასთან დაკავშირებით. ინფრასტრუქტურის მიმართულებით 200-მდე პროექტი ხორციელდება და ამას ძალიან კარგი კოორდინაცია სჭირდება. ეკონომიკის სამინისტრომ ძალიან ბევრი ახალი პროექტი დაძრა, ამიტომაც ასე მექანიკური გაერთიანება არ გამოდიოდა. მაინც გავაკეთეთ ის, რომ მარაბდა-კარნახის რეკინგა, რომელიც სარეკინგო

პოლიტიკის შემადგენელი საკითხი იყო, გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს.

**რა იქნება სამინისტროს 2013 წლის პრიორიტეტები?**

2013 წელს სამინისტროს პრიორიტეტები გზების მოწესრიგება, წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება და არსებული გრაფიკით წყლის მიწოდების ნაცვლად უფრო მეტ მუნიციპალიტეტში გრაფიკის გაუმჯობესებაა. გვაქვს ახალი პრიორიტეტი – ნარჩენებისა და ნაგავსაყრელების მართვა. კიდევ ერთი

**■ სამინისტროს 2013 წლის გეგმის პირველი აბზაცში წერია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება რეგიონული განვითარების წინაპირობაა. რეგიონული განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანი წინაპირობაა ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობა და ის, რომ ხალხი ადგილზე საკუთარი საჭიროების შესაბამისად იღებდეს გადაწყვეტილებას.**

პრიორიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაა.

**წელს 180 მილიონით გაიზარდა სამინისტროს დაფინანსება. რა მიმართულებით გადანაწილდება ეს თანხა?**

2013 წლისთვის ჩვენი სამინისტროს ბიუჯეტი 901 მილიონი ლარია, რომელიც დაახლოებით 180 მილიონი ლარით მეტია 2012 წელს ათვისებულ ბიუჯეტზე. აქედან 500 მილიონამდე დაიხარჯება, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა მნიშვნელობის გზების მოწესრიგებაზე. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მიმართუ-

ლება გზების მშენებლობაა. დაახლოებით 180 მილიონი დაიხარჯება მუნიციპალურ პროექტებზე, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს. 110 მილიონი ლარი დაიხარჯება წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების სამუშაოებზე. წელს 28 ახალი მუნიციპალიტეტი ავიღეთ, სადაც წყალმომარაგების სისტემის გამართვაზე ვიმუშავებთ. 82 მილიონი დაიხარჯება დევნილთა საცხოვრებლების მშენებლობაზე და არსებული სახლების ინფრასტრუქტურული საჭიროებების მოწესრიგებაზე.

**როდესაც სამინისტროში მოხვედით, გარკვეული საქმეები საგამოძიებო ორგანოებს გადაუგზავნეთ. რა საქმეებზეა საუბარი და რომელ პროექტებს ეხება?**

30-მდე სხვადასხვა საქმე გვაქვს გადაგზავნილი საგამოძიებო უწყებებში. მათი ერთი ნაწილი ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხს და იქ არსებული პროცედურების დარღვევას ეხება. მაგალითად, საკმაოდ ბევრი მშენებლობის დროს ნებართვა გაცემული. მეორე მიმართულება დარღვევებისა, ჩვენი აზრით, ხარჯთაღრიცხვებშია. საბაზრო ფასებთან შედარებით გაცილებით ძვირი ფასებია მოცემული ცალკეულ სამშენებლო მასალებზე, როგორც არის გარე განათების სისტემები, არმატურა და სხვა სამშენებლო მასალები. ზოგიერთ შემთხვევაში კრიმინალთან დაკავშირებული ექვები იყო, მაგალითად, კახეთში შემოყვანილი იყო გარკვეული ჯგუფი, რომელსაც ფინანსური პირამიდის გზით მიწა უნდა შეეძინა, კოტეჯები აეშენებინა და გაურკვეველი ხალხი დაესახლებინა. შემოსული იყო განცხადება ამ საკითხზე, მოვიძიეთ ეს მასალა და გადავგზავნეთ საგამოძიებო სამსახურებში.

**სოფლის დახმარების პროგრამა წელს 50 მილიონით დაფინანსდა. ამ პროგრამის ეფექტურობის მიმართ ყოველთვის იყო კითხვები. სოფლების ერთი ჯგუფი ყოველთვის სარიატულო სახლებს ითხოვდა, მეორე ჯგუფი გზის მოხრეშვას. როგორ აპირებს სამინისტრო სიტუაციის შეცვლას და ამ პროგრამის ფარგლებში თანხის უფრო ადეკვატურ ხარჯვას?**

სხვა წლებისგან განსხვავებით უფრო დეტალური რეგულაციები გავაკეთეთ. სოფლები მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად მიიღებენ თანხებს, როგორც ადრე, მაგრამ ისინი ვერ ჩაატარებენ პირდაპირი შესყიდვის წესით სამუშაოებს. შესყიდვები შესყიდვების შესახებ სახელმწიფოს კანონით წარმართება, რაც გულისხმობს, რომ 5000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოებზე ტენდერი უნდა გამოცხადდეს. სამუშაოებზე უპირატესად ადგილობრივი მოსახლეობა უნდა დასაქმდეს. მკაფიოდ ჩავწერეთ, რომ სოფელში კრება აუცილებლად ჩატარდეს, უნდა შედგეს ოქმი და უნდა გამოიგზავნოს მუნიციპალიტეტში, შემდეგ მოგვანოდონ ჩვენ. სამინისტრო საკუთარ თავზე იღებს ამ პროგრამის მონიტორინგს. ამ პროგრამის ფარგლებში სარიტუალო სახლების მსგავსი რამ გამოირიცხება, ჩვენ მკაცრად ჩავწერეთ, რომ ამით საჯარო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება უნდა მოხდეს და ისეთი რამე უნდა გაკეთდეს, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის მინიმუმ ნახევარი მაინც ისარგებლებს.

**კახეთში კომპენსაციების დარიგება მიმდინარეობს. პროცესში რამდენიმე პრობლემა წარმოიშვა. ერთი ის რომ კონპენსაციებს მხოლოდ „ქართუ ბანკი“ არიგებს და მას ოფისი მხოლოდ თელავში აქვს. მოსახლეობას კახეთიდან თელავში უწევს ჩასვლა, იქნება რიგები. ასევე საკონპენსაციო სიიდან სოფლები და ოჯახებია გამორჩენილი. როგორ მოგვარდება ეს პრობლემა?**

ესეთი დეტალური აღწერა, რაც ჩვენ გავაკეთეთ საქართველოში არც ერთი სტიქიის დროს არ ჩატარებულა. მივედით ყველა ოჯახში. 97 ჯგუფმა, რომელიც რამდენიმე ადამიანისგან შედგებოდა, 28 500 ოჯახი აღწერა. ეს ინფორმაცია დამუშავდა და მივიღეთ საკონპენსაციო თანხის მოცულობა. ის ვისაც წინა ხელისუფლების დროს უკვე ჰქონდა აღებული თანხა, გამოაკლდა და მივიღეთ წმინდა დასარიგებელი თანხა. „ქართუ ბანკში“ იმიტომ რიგდება, რომ იქ სხვა ბანკებისგან განსხვავებით საკომისიოს არ ითხოვენ. რიგები ნამდვილად არ არის, ჩვენ

სიას ვანვდით ბანკს და საქვემოქმედო ფონდს ეტაპობრივად. ყველა ადამიანმა სოფლის რწმუნებულების მეშვეობით იცის, რომელ დღეს უნდა მივიდეს ბანკში. რაც შეეხება ცალკეულ პრეტენზიებს, ჩვენ ვსწავლობთ და რეაგირების გარეშე არ დარჩება. ზოგიერთი სოფელი ითხოვდა სიაში შეტანას, მაგრამ არც წინა და არც ახალი აღწერის დროს ეს სოფელი არ აღმოჩნდა სტიქიით დაზარალებული. პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს და დაახლოებით 2 კვირაში დასრულდება.

**შეჩერდა თუ არა მართლა ზოგიერთი დაანონსებული ინფრასტრუქტურული პროექტი და თუ იგეგმება ახალი დიდი პროექტების დაწყება?**

ყველა გარდამავალი პროექტი, რაც ინიცირებული იყო და რაზეც ხელშეკრულებები გაფორმებულია, გრძელდება.

გარდამავალი პროექტებია საგზაო სამუშაოები, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები, უმთავრესად კახეთისა და იმერეთის რეგიონში. ასევე წყალმომარაგების, დევნილთა სახლების მშენებლობასა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებული პროექტები. ჩვენი სამინისტროს მართვის ქვეშე მყოფი არც ერთი პროექტი არ გაჩერებულა. უბრალოდ, წინა ხელისუფლებამ, ვინაიდან 2012 წელი საარჩევნო წელი იყო, ძალიან ბევრი პროექტი ერთდროულად წამოიწყო, გაჭირდა ამის ადმინისტრირება, ძალიან ბევრგან უბრალოდ დაიწყეს სამუშაოები, ისე რომ კომპანიებთან კონტრაქტი არ იყო გაფორმებული. ეს გადმოვიდა ჩვენთან, როგორც ვალდებულება,

მაგალითად, ზუგდიდის ტერიტორიაზე, სადაც დევნილთა სახლი უნდა აშენდეს მუნიციპალური განვითარების ფონდის მაშინდელი ხელმძღვანელის მოადგილის მითითებით უკანონო მშენებლობაა დაწყებული, კომპანიასთან კონტრაქტი არაა გაფორმებული და მშენებლობა სიტყვიერი მითითების საფუძველზე დაიწყო. ჩვენ ახლა უნდა გამოვაცხადოთ ხელახალი ტენდერი და ბოდიში უნდა მოვუხადოთ იმ კომპანიას, რომელმაც

გარკვეული სამუშაოები დაიწყო.

მაგალითად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ძალიან ბევრგან დაიწყეს მიწების გამოცვლა, ისე რომ ზემოთ გზის საფარის გადაგების ბიუჯეტი არ იყო გათვალისწინებული და გზები იქ დღემდე მოუწესრიგებელია.

ასეთი შემთხვევები არის ძალიან ბევრი. ასე რომ ჩვენ ძალიან მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ.

**ლაზიკასთან დაკავშირებით, თუ აპირებთ რომ რაღაც კონდიციამდე მიიყვანოთ იქ არსებული ინფრასტრუქტურა? როგორც ვიცით აშენებულია ლაზიკის იუსტიციის სახლი და ირგვლივ ტრიალი მინდორია.**

რესურსები ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული არ იყო, ისევე როგორც მშენებლობის გენერალური გეგმა არ არსებობდა. იუსტიციის სახლი ააშენა იუსტიციის სამინისტრომ. ჩვენი სამინისტროს მართვის ქვეშე მყოფმა სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ 13.3 მლნ ლარის სამუშაოები განახორციელა. მათ შორის ისეთი დავალებები იყო მიცემული ამ კომპანიისთვის, რომ მათ ფული არ ჰყოფნიდათ და საკუთარი ფული, რაც ჰქონდათ ბიუჯეტში ისიც კი დახარჯა. ამიტომ ასეთ პირობებში, როცა არ არსებობს განვითარების გეგმა, არ არსებობს შესაბამისი ბიუჯეტი, იქ რამის ინიცირებას ვერჯერობით აზრი არ აქვს.

განვახორციელებთ ნაპირდაცვასთან დაკავშირებული სამუშაოებს, რაც გადაუდებელია. ასევე ანაკლიაში ვაკეთებთ წყალმომარაგების სისტემას, ხდება ანაკლიასთან მისასვლელი გზის დაგება და მოწესრიგება. ვერჯერობით ესაა, რაც შემიძლია ვთქვა 2013 წლისთვის. მაგრამ თუ ანაკლია განვითარდება როგორც საპორტო ტერიტორია, რაზეც ინტერესი მართლაც არის ცალკეული ინვესტორების მხრიდან და ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს ამაზე, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ალბათ ვიფიქრებთ დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე.

**ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაიწყო ადგილობრივი თვითმმართველობე-**

**ბის ხელმძღვანელების ცვლილებაც, რამდენად ჯანსაღია როდესაც ცენტრალური ხელისუფლების ცვლილებას ადგილობრივი ხელისუფლების შეცვლაც მოჰყვება?**

ესაა პოლიტიკური პროცესი, ესაა ხელისუფლებაში განხორციელებული ცვლილებების ბუნებრივი გაგრძელება, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდობლობას უცხადებს ხელისუფლებას და ირჩევს ახალ პოლიტიკურ ძალას. რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს პოლიტიკური მრწამსი არ შეუცვლიათ და უნდათ იგივე პოლიტიკური მიმდევრობის ადგილობრივი ხელისუფლება ჰყავდეთ.

**რამდენიმე ადამიანი ერთდროულად ამბობს ხოლმე, რომ „ქართული ოცნების“ წევრია და სურს გამგებლობა, ერთმანეთსაც უპირისპირდებიან, ვინ მართავს ამ პროცესებს? „ქართული ოცნება“ თუ პროცესი სტიქიურია?**

ვერ გეტყვი, სიმართლე გითხრათ. ბევრგან გამოდიან ადამიანები, ზოგს პრეტენზია კონკრეტულ პირებთან აქვს, რომ ამ ადამიანებმა წინასაარჩევნოდ ძალიან ბევრი ცუდი გაუკეთეს თავიანთ თანამოქალაქებს, რომ ისინი აშინებდნენ აშინტაუბდნენ და ა.შ. ამ ადამიანებს ასეთი ტიპის ხელისუფლება აღარ სჭირდებათ და ბუნებრივია, ისინი მათ გადადგომას ითხოვენ. ბევრგან ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ცვლილებები და არიან ის ადამიანები, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში იყვნენ. ჩვენ პოლიტიკურ საკითხებში არ ვმონაწილეობთ.

**აპირებთ თუ არა თვითმმართველობებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას?**

თვითმმართველობის მასშტაბურ რეფორმას ვგეგმავთ, სტრატეგია უკვე მომზადებულია და ვთანამშრომლობთ პარლამენტის ადგილობრივი თვითმმართველობის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებთან. სოფლის მოსახლეობა უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ადგილობრივ თვითმმართველობებს მიეცეთ უფრო მეტი დამოუკიდებლობა. ასევე სამხარეო დონეზე

გვინდა, რომ დავინყოთ გარკვეული უფლებამოსილებებისა და შესაბამისი რესურსების გადაცემა. ამ მასშტაბურ რეფორმას სჭირდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელზეც ჩვენ ასევე ვმუშაობთ, რათა ერთი მხრივ კანონმდებლობაში მოწესრიგდეს არსებული ხარვეზები და მეორე მხრივ, ახალმა კანონმდებლობამ უზრუნველყოს სამართლებრივად გამართული ფორმის ახალი სისტემა.

სამი მთავარი რამის მიღწევა გვინდა. პირველი – ადგილობრივი მოსახლეობა

- **სამი მთავარი რამის მიღწევა გვინდა. პირველი – ადგილობრივი მოსახლეობა მეტად ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფრო ახლოს იყვნენ ადამიანებთან. მეორე – სხვადასხვა დონის ხელისუფლებას შორის კომპეტენციები ძალიან მკაფიოდ გაიმიჯნოს და მესამე – ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი რესურსები.**

მეტად ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფრო ახლოს იყვნენ ადამიანებთან. მეორე – სხვადასხვა დონის ხელისუფლებას შორის კომპეტენციები ძალიან მკაფიოდ გაიმიჯნოს და მესამე – ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი რესურსები.

**გეგმავთ თუ არა მერის პირდაპირი წესით არჩევას თვითმმართველ ქალაქებში?**

არჩევნებთან დაკავშირებული და სხვა ამგვარი საკითხები ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, თუმცა, რასაკვირველია, ასეთ დონეზე არჩევითი

უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი. ეს ის საკითხებია, რომლებზეც სამუშაო ჯგუფები სხვადასხვა ალტერნატივას მოამზადებენ, იქნება დისკუსიები და ამის საფუძველზე მივიღებთ გადაწყვეტილებას.

**კონსტიტუციაში კონკრეტულად არაა განერილი გუბერნატორის უფლებამოსილებები. ახალ კონცეფციაში, რომელიც დაგეგმარების წესს ცვლის და თვითმმართველობა სხვადასხვა დონეებზე განხორციელდება უფრო გაუგებარი ხდება გუბერნატორის ადგილი...**

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე გუბერნატორის ინსტიტუტი დარჩება, მაგრამ მას მერე, რაც ჩატარდება არჩევნები, უნდა შეიცვალოს სისტემა. ჩვენ სამხარეო დონეზე ვფიქრობთ, რომ მხარეს გარკვეული ფუნქციები ჰქონდეს კანონმდებლობით მინიჭებული. დღეს მათ ფუნქცია არ აქვთ, გარდა სხვადასხვა პროექტისა და პროგრამის კოორდინაციისა. ამიტომ სამხარეო ხელისუფლება იქნება გარკვეული ფუნქციებით აღჭურვილი. იქნება წარმომადგენლობითი ხელისუფლება და ექნება ამ ფუნქციების შესასრულებლად საჭირო რესურსებიც.

2014 წელს არჩევნები უნდა ჩატარდეს ახალი სისტემით და უნდა მივიღოთ რეალურად უფრო ძლიერი და ქმედითი ადგილობრივი თვითმმართველობები, თუმცა ამით თვითმმართველობების რეფორმა ვერ დასრულდება. ეს არის გაცილებით უფრო ხანგრძლივადიანი პროცესი, რომელიც რამდენიმე ასპექტს მოიცავს და მასზე მუშაობა მერეც გაგრძელდება. ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე კონცენტრირებული ცალკეული ფუნქციების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ეტაპობრივად უნდა მოხდეს, ამიტომ არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის იქნება სამუშაო. სამინისტროც ჯერჯერობით რჩება და აგრძელებს აქტიურ მუშაობას. დანარჩენს ის გვიჩვენებს, თუ რამდენად წარმატებულად ვიმუშავებთ. ■

*ესაუბრა თინა ყიფშიძე*



ფოტო: გიორგი შივაზა



# საახაშვიდთან ერთად, თუ საახაშვიდის ბაჩაშვი?

„ნაციონალური მოძრაობა“ უკვე 3 თვეა ოპოზიციაშია. პარტია, რომელიც პარტიული სიმბოლიკითაც კი თავს ქვეყანასთან აიგივებდა, დღეს საქართველოს აღარ მართავს. ძლიერი ლიდერი, რომელიც მის წარმატებას აქამდე მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა, დღეს, შესაძლოა, ტვირთად იქცეს.

ირაკლი აბსანძე



გიგი უგულავა ხალხთან დიალოგში.  
თბილისი, 8 თებერვალი 2013



ფოტო: ბიზნესი.გე

8 თებერვალს მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ცხრანახევარი წლის მანძილზე პირველად უპასუხა ჟურნალისტების წინასწარ მოუმზადებულ შეკითხვებს. იმავე დღეს, ცოტა ხნით ადრე ვიხილეთ სახელმწიფო სტრატეგიული ჩიორა თაქთაქიშვილი, აგრესიულად განწყობილ დემონსტრატებში ხმამაღალი შეძახილებით გადაშვებული გიგი უგულავა, ბევრი გაბრაზებული ადამიანი, დაბნეული პოლიცია და სიტუაციის განსამუხტად გამოჩენილი შინაგან საქმეთა მინისტრი.


8 თებერვალს პრეზიდენტს ქართველი ხალხისათვის ეროვნული ბიბლიოთეკიდან უნდა მიემართა. დარბაზში დიპლომატები, სტუდენტები და საპარლამენტო უმცირესობის წევრები უნდა მსხდარიყვნენ. მათ შორის ჟურნალისტებიც, მაგრამ არა მათი უმრავლესობა, ვის მიწვევასაც პრეზიდენტის პრესმდივანი მანანა მანჯგალაძე ორი დღის განმავლობაში დიდი რუდუნებით ცდილობდა. ამ ჟურნალისტებს, რომელსაც საზოგადოება კარგად იცნობს, მთელი 9 წლის განმავლობაში ჰქონდათ პრეზიდენტისათვის დასასმელი შეკითხვები, მაგრამ სააკაშვილს და მის პრესმდივანს 8 თებერვლამდე ისინი არ გახსენებია. ახლა დასჭირდა სამშობლოს ავბედობით შეწუხებულ პრეზიდენტს პირველ რიგში მსხდარი ადამიანები, რომელსაც საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი ენდობა. ახლა აღარ იყო საკმარისი რომელიმე ქარხნის უნიფორმიანი

## ■ ახლა ქართული

**ტელეარხების ეკრანზე უნდა გამოჩენილიყო კადრები, როგორ ყურადღებით უსმენენ პრეზიდენტს ია ანთაძე, ზვიად ქორიძე, ლაშა ტულუში და სხვები. თუმცა ფაქტია, რომ ამ ინიციატივამ სულ მცირე ექვსი წლით დაიგვიანა.**

მუშების, საბავშვო ბაღების მასწავლებლების ან თინეიჯერი სტუდენტების აუდიტორია. ახლა ქართული ტელეარხების ეკრანზე უნდა გამოჩენილიყო კადრები, როგორ ყურადღებით უსმენენ პრეზიდენტს ია ანთაძე, ზვიად ქორიძე, ლაშა ტულუში და სხვები. თუმცა ფაქტია, რომ ამ ინიციატივამ სულ მცირე ექვსი წლით დაიგვიანა.

ტელემეყურებელმა 8 თებერვლის თბილ საღამოს სულ სხვა რამ იხილა. პრეზიდენტის სასახლეში შეკრებილ დიპლომატებს, საპარლამენტო



ფოტო: გიორგი კოძაშვილი

უმცირესობის წევრებსა და ჟურნალისტებს მიხეილ სააკაშვილმა, მისი თქმით, პარლამენტისათვის მომზადებული მიმართვა წაუკითხა. ჩანდა, რომ პრეზიდენტი ლეღავდა. ამის დაფარვას ვერც განსაკუთრებულად გულდასმით გაკეთებული საეთერო მაკიაჟი ახერხებდა. რამდენიმე ადგილას ხმაც კი აუკანკალდა. ისაუბრა ქართველი ერის ნიჭიერებაზე, იმაზე, რომ “ჩაყრილ საძირკველზე ახალი სართულები ერთად უნდა დავაშენოთ”, რომ უცხო „კოაბიტაციას“ ქართული „თანაცხოვრება“ ურჩევნია. მას არ უხსენებია რუსეთის მიერ საქართველოს მთავრობაში ჩანერგილი მეხუთე კოლონა და არც ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურების საფრთხეზე გაუკეთებია ფატალური პროგნოზები.

ეს ყველაფერი, ალბათ, არ მოხდებოდა, რომ არა საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილება. მათ პრეზიდენტს არ მისცეს საშუალება, შეესრულებინა ამჟამინდელი კონსტიტუციით გარანტირებული უფლება-მოვალეობა – პარლამენტის ტრიბუნიდან მიემართა დეპუტატებისა და ქართველი ხალხისთვის. სანამ საკონსტიტუ-

ციო ცვლილებებს არ მივიღებთ, არ გვსურს პრეზიდენტის მოსმენაო – ეს იყო უმრავლესობის ლიდერების განცხადებების პათოსი.

უცნობია, ვინ იყო პრეზიდენტის პარლამენტში არშემგების კონკრეტული ინიციატორი, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს გადაწყვეტილება „ქართულ ოცნებაზე“ სასიკეთოდ არ მუშაობს. მიხეილ სააკაშვილს კიდევ ერთხელ ეძლევა ჩაგრულ პრეზიდენტად სტილიზების საშუალება, რომელსაც კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას ჭრელი და ამორფული უმრავლესობა არ ასრულებინებს. ეს იმიჯიც, ალბათ უფრო გარე მოხმარებისთვისაა საჭირო, ვიდრე ადგილობრივი საზოგადოებისთვის. ისიც ფაქტია, რომ ყველაფრის მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობა“ დასავლეთის თვალში პროგრესული პოლიტიკური ძალის ნიშას ჯერაც ინარჩუნებს.

საკონსტიტუციო ცვლილების დასამტკიცებლად საკონსტიტუციო კვორუმი საჭირო, რაც „ქართულ ოცნებას“ არ აქვს. კენჭისყრა ღიაა, ამიტომ წარმოუდგენელია, რომელიმე „ნაციონალმა“ დეპუტატმა ინიციატივას

შსს მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი ვითარების განმუხტვას ცდილობს. თბილისი, 8 თებერვალი 2013

**■ ეს ყველაფერი, ალბათ, არ მოხდებოდა, რომ არა საპარლამენტო უმრავლესობის გადანყვეტილება. მათ პრეზიდენტს არ მისცეს საშუალება, შეესრულებინა ამჟამინდელი კონსტიტუციით გარანტირებული უფლება-მოვალეობა – პარლამენტის ტრიბუნლიდან მიემართა დეპუტატებისა და ქართველი ხალხისთვის.**

მხარი პარტიიდან გაუსვლელად დაუჭიროს. ალბათ, ამ კონტექსტშია განსახილველი ბოლო დღეებში მარცხი ვერულაშვილისა და გიორგი ფეიქრიშვილის ფრაქციიდან დაუსაბუთებლად გასვლა. თუმცა, კონსტიტუციის შესაცვლელად „ნაციონალური მოძრაობიდან“ უკვე გადაბირებული დეპუტატების ოდენობა არ არის საკმარისი. როგორც ჩანს, პროცესი კულუარებში მიმდინარეობს. თუ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო კვორუმის შეგროვება მოახერხა, ეს შეიძლება „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც მონოლითური და კარგად ორგანიზებული პარტიის დასასრულის დასაწყისად იქცეს.

არჩევნების შემდეგ ორ სხვადასხვა პრეზიდენტზე, შესაბამისად, ორ სხვადასხვა „ნაციონალურ მოძრაობაზე“ დაკვირვების საშუალება გვქონდა. არჩევნების შედეგებმა „ნაციონალური მოძრაობაც“ და „ქართული ოცნებაც“ ერთნაირად გააკვირვა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა გარედან. ახალარჩეულ მმართველ პარტიას დაბნეულობა საკადრო გადანყვეტილებებში ეტყობოდა, დამარცხებული „ნაციონალური მოძრაობა“ კი, რთულად ეგუებოდა აქამდე თითქმის

წარმოუდგენელ მდგომარეობას – ოპოზიციაში ყოფნას.

პრეზიდენტი სააკაშვილი ოქტომბრის დასაწყისშივე აღარ იყო ის მიშა, როგორსაც თანაპარტიელები და ყველა ქართველი ტელემაყურებელი იცნობს. ის აღარ დარბოდა გრძელი ნაბიჯებით ხალხში, აღარ იყო ჩვეულად თავდაჯერებული, ტელევიზორში ველარ ვისმენდით მის ცეცხლოვან და ერთგვარი ფატალურობით გაჯერებულ გამოსვლებს.

ქვეყნის პრეზიდენტისა და ახალარჩეული პრემიერის პირველი შეხვედრის ამსახელი ფოტომასალა პირველი თვალსაჩინო ნიშანი იყო იმისა, რომ ქვეყანაში რალაც საფუძვლიანად შეიცვალა. ფოტოებზე, შესამჩნევად დათრგუნული მიხეილ სააკაშვილის გვერდით ვხედავთ თავდაჯერებულ, ფეხზე მყარად მდგარ ბიძინა ივანიშვილს.

ეს ფოტო, ალბათ, არ იყო კარგი გზავნილი „ნაციონალური მოძრაობის“ აქამდე სულ მოგებულ პოზიციაში მყოფი მომხრეებისთვის. პრეზიდენტის არჩევნების შემდგომი რიტორიკაც, რომ დემოკრატიამ გაიმარჯვა და უნდა მივესალმოთ ქვეყნის უახლეს ისტორიაში ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის პირველ პრეცედენტს, მათთვის ფრიად დამაბნეველი იქნებოდა. სულ ცოტა ხნის წინ ხომ ყველა პარტიული ლიდერი და, განსაკუთრებით, პრეზიდენტი, „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ქვეყნიერების დასასრულად, არმაგედონად წარმოგვიდგენდნენ.

მიხეილ სააკაშვილის კონსტრუქციული მიმართებები კონკურენტი პარტიისა და საზოგადოების მისამართით, ალბათ, ისევე გარე მოხმარებისთვის იყო გათვალისწინებული. თუმცა, პარტიულ ინტრიგებში კარგად გამობრძმედილი „ნაციონალები“ მალევე მიხვდნენ, რომ ეს რიტორიკა პარტიის შიგნით, განსაკუთრებით რეგიონებში, დამანგრეველად მუშაობდა. ადამიანებმა ახალ პატრონთან მისასვლელი გზების ძიება დაიწყეს.

და მაშინ გაჩნდა ლეგენდა აპრილზე. რომ არჩევნებიდან 6 თვის თავზე პრეზიდენტი პარლამენტს ახალ მთავრობას შესთავაზებდა, რომელსაც „ქართული ოცნების“ უმრავლესობა, რა თქმა უნდა, არ დაუჭერს მხარს. მეორე უშედეგო ცდის შემდეგ, პრეზიდენტს მთავრობის დამტკიცება პარლამენტის გარეშეც შეუძლია. სააკაშვილის მოწონებულ მთავრობაში პრემიერ-მინისტრი რომ ბიძინა ივანიშვილი არ იქნება, ცხადზე უცხადებია. ეს არის ახალი დამაიმედებელი გზავნილი „ნაციონალური მოძრაობის“



ფოტო: შიორაი შივაშა

საკაშვილი დინამოს სტადიონზე „ნაციონალური მოძრაობი“ არჩევნებში დამარცხებამდე რამდენიმე დღით ადრე, 28 სექტემბერი 2012



ფოტო: ტორენტი ზეზინაძე

პრეზიდენტი „ნაციონალური მოძრაობის“ შეკრებაზე სპორტის სასახლეში, თბილისი, 8 სექტემბერი 2012

მომხრეებისათვის – ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ აპრილიდან.

ივანიშვილმა „ნაციონალურ მოძრაობას“ მათგანვე ხშირად გამოყენებული ტაქტიკა – კონსტიტუციის ცვლილება - დაუპირისპირა. თუ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო კვორუმისათვის საჭირო 100 ხმის მობილიზება შეძლო, პრეზიდენტს მთავრობის შესაცვლელად პარლამენტის დათხოვნა და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მოუწევს. ეს არ უნდა შედიოდეს „ნაციონალური მოძრაობის“ პრაგმატული ლიდერების ინტერესში. ყველა ადგილობრივი

თუ უცხოური ორგანიზაციის მიერ ბოლო დროს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს.

ქართველი ამომრჩეველი „ნაციონალური მოძრაობის“ ათწლიან მმართველობაში არსებულ ყველა უსამართლობასა და შეცდომას, სააკაშვილს უკავშირებს. ექსცენტრიულობა, რაც სააკაშვილის ქარიზმის მნიშვნელოვანი კომპონენტია, უკვე მის წინააღმდეგ მუშაობს. პროაქტიური, აგრესიული და მუდმივად მტრების მხილებისთვის მომართული პრეზიდენტი



■ პრეზიდენტის არჩევნების შემდგომი რიტორიკაც, რომ დემოკრატიაში გაიმარჯვა და უნდა მივესალმოთ ქვეყნის უახლეს ისტორიაში ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის პირველ პრეცედენტს, მათთვის ფრიად დამაბნეველი იქნებოდა. სულ ცოტა ხნის წინ ხომ ყველა პარტიული ლიდერი და, განსაკუთრებით, პრეზიდენტი, „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ქვეყნიერების დასასრულად, არმაგედონად წარმოგვიდგენდნენ.

თლებული, ბევრ ენაზე მოლაპარაკე და სწრაფად მზარდი წევრები სხვადასხვა კვლევით ცენტრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციაში ისე გადანაწილდნენ, რომ პარტია არ უარუყვიათ. ოპოზიციაში გადანაცვლებული ეს ინტელექტუალური ბირთვი კარგი შანსი იქნებოდა საქართველოში არარსებული პოლიტიკური კულტურის ჩასახვისთვის მაინც.

„ნაციონალური მოძრაობისათვის“ ახლა არ უნდა იყოს პრიორიტეტული პარტიაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მოტივით გაერთიანებული წევრების შენარჩუნება. რაოდენობა არც ამ შემთხვევაში განსაზღვრავს ხარისხს. ადამიანები, ვისი პოლიტიკური გემოვნებაც ღირებულებებზე კი არა, პარტიის გაფლენიანობაზე დაფუძნებული, ოპოზიციაში გადასულ „ნაციონალურ მოძრაობას“ დიდ ხანს მაინც ვერ უერთგულებენ. იდეის ირგვლივ გაერთიანებულ „ნაციონალებს“ კი აქვთ შანსი, საქართველოს ისტორიაში ქვეყნის მართვის გამოცდილების მქონე პირველ პარტიად შევიდნენ, რომელმაც საარჩევნო ციკლს ოპოზიციაში გაუძლო.

„ნაციონალური მოძრაობა“ სააკაშვილთან ერთად თუ სააკაშვილის გარეშე? როგორც ჩანს, პრეზიდენტს არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს. ახლა ჯერი პარტიაზეა. ■

ამინებს ბოლო წლების არასტაბილურობით დაღლილ ადამიანებს. მან წინასაარჩევნო პროცესში ვერ თუ არ მოახერხა იმ ოდიოზური ფიგურებისაგან დისტანცირება, ვინც ყველაზე მეტად აღიზიანებდა საქართველოს მოქალაქეებს. პოლიტიკურმა ცხოველმა სააკაშვილმა პარტია ძალაუფლების დაკარგვის შიშს გადააყვალა.

მეორე მხრივ, უდავოა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შემდგარი პარტიაა. ეს განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ გახდა ნათელი, როცა „ნაციონალების“ ახალგაზრდული გუნდის განა-

# ხოჯაბიძასია ქუთაისუხად

საქართველოს რეგიონებში აგორებული ტალღა, რაც ადგილობრივ თვითმმართველობებში პოლიტიკურ ძალთა გადანაცვლებაში გამოიხატება, ქუთაისსაც მოსწვდა. ქუთაისი ბოლო დღეებში სპონტანური, თეატრალიზებული აქციებით გამოირჩევა, რომლის მთავარი ადრესატიც ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ხვადაგიანია, მისი თანამდებობიდან გადადგომა კი ამ აქციების მთავარი მოთხოვნაა.

## ნათია ბილიხოძე

ერთი შეხედვით, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებაში არაფერი შეუცვლია. იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის, ქალაქის მერიისა თუ საკრებულოს ადმინისტრაციებში, უკლებლივ ყველგან აცხადებენ, რომ მუშაობას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ და არც უახლოეს მომავალში იგეგმება რაიმე განსაკუთრებული ცვლილება. ამ სტატიკურ სიტუაციას თუ შესაშურად კოჰაბიტაციურ გარემოს ერთგვარად აფხიზლებს კიდევ ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის „საზოგადოებრივი ინტერსების დაცვის ცენტრის“ მიერ მოწყობილი „წარმოდგენები“ მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ. მათ ჯერ შენობას ამირან ხვადაგიანის პატივსა-

ცემად ახალი მისამართი – „ამირან მუდმივის 5“ მიანიჭეს, მოგვიანებით კი საკრებულოს თავმჯდომარის სახელობის ვარსკვლავიც გახსნეს. პერიოდული პოლიტიკური პერფორმანსები, შეიძლება, იმერული იუმორის ნაწილად მივიჩნიოთ, რომ არა ერთი გარემოება – ამ აქციებს ქუთაისის საკრებულოს ახლადშექმნილი სამკაცინი ფრაქცია „ქუთაისი“ უჭერს მხარს, რომელიც, თავის მხრივ, ქუთაისის საკრებულოში „ქართული ოცნების“ კვოტად განიხილება.

„მხოლოდ თავმჯდომარის ცვლილება არაფერს შეცვლის, საკრებულოში პოლიტიკური ბალანსი უნდა შეიცვალოს. ახალი პოლიტიკური ბალანსის პირობებში კი, ბუნებრივია, ვერ იქნება თავმჯდომარედ ისეთი ადამიანი, რომლის მთავარი საზრუნავი საარჩევნო ქსელის შექმნა და საარჩევნო რესურსის გადარჩენაა, რასაც ამირან ხვადაგიანი 8 წლიანი მოღვაწეობის პერიოდში აკეთებდა“ – ამბობს მამუკა მღვდელაძე, ფრაქცია „ქუთაისის“ წევრი.

პოლიტიკური ბალანსი კი ქუთაისის საკრებულოში, სადაც ამჟამად 24 დეპუტატია, „ნაციონალების“ მხარესაა – 18 მათგანი „ნაციონალია“, 4 საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი და ერთიც ქრისტიან-დემოკრატი, მოკლედ, უმცირესობის ბალანსზეა 8 დეპუტატი, იმისათვის რომ მათ გამსვლელ ხმათა რაოდენობა მოაგროვონ, 13 ხმის მოპოვებაა საჭირო. ფრაქცია „ქუთაისი“ ირწმუნება, რომ თებერვალში 5 ხმის მოპოვებასაც შეძლებს და ქალაქში პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. „შეიცვლება მერი, ვიცე-



ფოტო სურვილი ავტორიანი

ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობა



-მერები, სამსახურების ხელმძღვანელები და ზოგადად, მოხდება კადრების ოპტიმიზაცია“- ამბობს მამუკა მღვდელაძე.

რადიკალური ცვლილება არც ისე მარტივი იქნება იმ ფონზე, როდესაც საკრებულოში უმრავლესობის რიგებიდან წევრთა გადინების ნაცვლად, უკუპროცესი უფრო შეინიშნება, მაგალითად, ნაციონალურ მოძრაობას არც ისე დიდი ხანია რაც საკრებულოს ქრისტიან-დემოკრატი წევრი, გოგიტა გეგელაშვილი შეუერთდა. ამ საქციელით აღფრთოვანებულმა საქართველოს პრეზიდენტმა ქუთაისში ვიზიტის დროს მას პერსონალურად გადაუხადა მადლობა. „ნაციონალების“ რიგებს უკანვე დაუბრუნდა საკრებულოს ორი წევრი, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მალევე დატოვეს მშობლიური ფრაქცია.

„ნაციონალებმა“ გაიმარჯვეს ქუთაისის მერის არჩევის დროსაც – ამჟამინდელი მერი, ბესიკ ბრეგაძე საკრებულოს მაჟორიტარი „ნაციონალი“ დეპუტატი იყო. ის საკრებულომ მერად მას შემდეგ აირჩია, რაც ქუთაისის ყოფილი მერი, გია თევდორაძე პარლამენტარი გახდა. სწორედ თევდორაძე ლობიერბდა ბრეგაძის კანდიდატურას და ეს ლობიერება ქალაქის საკრებულოში სკამების სროლით დასრულდა.

„საკრებულოში პოზიციების ცვლა, ბუნებრივია. 1 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში რეალობა შეიცვალა, ეს ადამიანების განწყობაზე მოქმედებს. სწორედ შეცვლილ განწყობებს ვხედავთ ქუთაისის საკრებულოში – ძალთა დაბალანსება გამართლებული იქნება პოლიტიკური ხედვის გამო და არა იმისთვის, რომ კონკრეტული თანამდებობების პირები შეცვალონ“ – ამბობს ქუთაისის საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ტარიელ მესხი.

თვითმმართველობაში ხელმძღვანელთა შეცვლის აუცილებლობის ერთ-ერთ უმთავრეს მოტივად, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის საერთო ენაზე საუბარი და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა სახელდება. „როცა ნაციონალური მოძრაობა 2004 წელს მოვიდა ხელისუფლებაში, 2002-ში უკვე იყო ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, „ნაციონალურ მოძრაობას“ ქუთაისში არც ფრაქცია ჰყოლია და არც დეპუტატი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის და არც ქალაქი დაუ-

ზარალება“ – ამბობს ვიცე-გუბერნატორი გოჩა თევდორაძე. გოჩა თევდორაძე წინა მონვევების პარლამენტის წევრი იყო. მისი ფარული ხელი ადგილობრივ საკადრო პოლიტიკაში ყოველთვის შეიმჩნეოდა, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილედ მისი დანიშვნა ადგილობრივ თვითმმართველობაში კადრების შენარჩუნების მოტივით აიხსნება. თუმცა, გოჩა თევდორაძე ჩვენთან საუბრისას, ასეთი ჩარევების არსებობას უარყოფს.

„ვინც გინდათ, ის დანიშნეთ, ვინც გინდათ, ის აირჩიეთ, არაერთხელ დაგვიფიქსირებია ეს პოზიცია ადგილობრივ თვითმმართველობებთან“ – ამბობს საქართველოს პარლამენტის რეგიონული განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გია ჟორჯოლიანი. ის ადგილობრივ თვითმმართველობებში პოლიტიკურ ძალთა ჭიდილს ბუნებრივ პროცესს უწოდებს და რეგიონებში შექმნილ სიტუაციას, შემდეგნაირად განმარტავს – „1 ოქტომბერს საქართველოში მოხდა რევოლუციური ცვლილება. დიქტატორული, რეპრესიული რეჟიმი შეიცვალა სხვა ხელისუფლებით. ეს ბევრად ჰგავს იმ ვითარებას, როდესაც კომუნისტური პარტიის მმართველობა შეიცვალა. თვითმმართველობის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ რეალობაში, როცა პარტია-სახელმწიფო ნაციონალური მოძრაობა იყო. საკრებულოების წევრები კომპეტენტური ადამიანები არიან, უბრალოდ, მათ სამსახურში თუ უნდოდათ ყოფნა, უნდა ყოფილიყვნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები. როდესაც დაინახეს, რომ რევოლუციური ცვლილება მოხდა, ფიქრობენ, რომ არსებობს სხვა არჩევანი და სხვაგანაც შეუძლიათ, მარტივად რომ ვთქვათ, სამსახურის შოვნა. ის, რაც რეგიონებში ხდება, ბუნებრივი პროცესია და გამორიცხავს ყოველგვარ ზეწოლას მმართველი სახელისუფლებო გუნდიდან.“

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2010 წელს ჩატარდა, შესაბამისად, ისინი 2014 წლამდე შეინარჩუნებენ უფლებამოსილებას. ამ დრომდე თვითმმართველობებში იგივე ადამიანები დარჩებიან. როგორც იმერეთის ვიცე-გუბერნატორი გოჩა თევდორაძე ამბობს, – „ძალთა გადანაცვლება პოლიტიკურ სურათს დიდად ვერ შეცვლის, იმიტომ რომ პიროვნებები არ იცვლებიან. რა მნიშვნელობა აქვს „ოცნების“ იარლიყს მივაკერებთ მათ თუ „ნაციონალურ მოძრაობისას?“

■ „მხოლოდ თავმჯდომარის ცვლილება არაფერს შეცვლის, საკრებულოში პოლიტიკური ბალანსი უნდა შეიცვალოს. ახალი პოლიტიკური ბალანსის პირობებში კი, ბუნებრივია, ვერ იქნება თავმჯდომარედ ისეთი ადამიანი, რომლის მთავარი საზრუნავი საარჩევნო ქსელის შექმნა და საარჩევნო რესურსის გადარჩენაა, რასაც ამირან ხვადაგიანი 8 წლიანი მოღვაწეობის პერიოდში აკეთებდა“.

# ჩახალიანის სახე

ვაგან ჩახალიანმა ციხეში ყოფნის დროს ქართული ისწავლა და დარწმუნდა, რომ შეუძლია მშობლიური რეგიონის ღირსეული ცხოვრებისთვის იბრძოლოს.

## ოლესია ვართანიანი

თურმე, „თანამედროვე არძინბას“ ვიცნობ. ეს იანვრის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტისგან გავიგე, როცა მან ვაგ ჩახალიანის შესახებ ისაუბრა.

ვაგაი 2005 წელს გავიცანი, მაშინ, როცა ჯავახეთში დიდი ვნებები ბოზოქრობდა. რეგიონში გაიგეს, რომ რუსული ბაზების გაყვანა მალე იგეგმებოდა. მაშინ ადგილობრივმა ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, სიტუაციით ესარგებლათ და ქვეყნის მმართველებისთვის შეეხსენებინათ, რომ დადგა დრო „ვარდების რევოლუცია“ მშობლიურ რეგიონშიც გერძნოთ.

ახალქალაქის ცენტრში ორი მიტინგი გაიმართა. იმ დროს იქაურობისთვის არნახული რაოდენობის – ხუთი ათასზე მეტი – ადამიანი შეიკრიბა. ძირითადად ის ახალგაზრდები გამოვიდნენ, რომლებიც სეზონური სამუშაოების შემდეგ რუსეთიდან უკან დაბრუნდნენ.

მაშინ საზაფხულოდ რუსეთში წასვლა ადგილობრივი მამაკაცებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჯავახურ ჟარგონზე ამას „ხოპანს“ ეძახდნენ, იმათ კი, ვინც რუსეთში დადიოდა – „ხოპანშიჩეებს“.

არავის საიმოვნებდა რუსეთის ცივ ქალაქებში სიარული, საერთო საცხოვრებლებსა და სარდაფებში ცხოვრება იმისთვის, რომ ჯავახეთში დარჩენილი ოჯახისთვის რაღაც მაინც ეშოვათ. მაგრამ სხვა სამუშაო რეგიონში, უბრალოდ, არ არსებობდა. ადგილობრივმა ახალგაზრდებმა ძალიან მალე მოაგროვეს ათასობით ადამიანი იმისთვის, რომ რეგიონის მძიმე ყოფა გაეპროტესტებინათ.

ახალქალაქში 30 წლამდე ბიჭების საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა, რომლებმაც სახელად „ერთიანი ჯავახი“ დაირქვეს. მათ შორის იყო ჯავახეთის მკვიდრი, ევროპიდან ახალდაბრუნებული მაღაზის მფლობელი,

ოპოზიციურად განწყობილი ქალაქის მერი, იყო ასევე ახალგაზრდა სპორტსმენი ვაგ ჩახალიანიც და სხვებიც.

მიტინგებზე მოითხოვდნენ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას გზა გაერემონტირებინა, სოციალური პრობლემები მოეგვარებინა, კორუფციისთვის და ადგილობრივი „კლანებისთვის“ მიეხედა. ასევე დაინტერესებულნი იყვნენ იმით, თუ რატომ ეთომობოდა სომხური ენისა და ისტორიის შესწავლას სკოლებში ნაკლები ყურადღება.

**■ მიტინგების ყველა ორგანიზატორი აღნიშნავდა, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ ითხოვდნენ ჯავახეთის გამოყოფას ან ავტონომიას – ეს ლოზუნგები წარსულში დარჩა.**

მიტინგების ყველა ორგანიზატორი აღნიშნავდა, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ ითხოვდნენ ჯავახეთის გამოყოფას ან ავტონომიას – ეს ლოზუნგები წარსულში დარჩა. ყველანი თანხმდებოდნენ, რომ ადგილობრივი პრობლემები მხოლოდ ქართულ, და არავითარ შემთხვევაში – სომხურ, ან მით უმეტეს, რუსულ ხელისუფლებას გადაეწყვიტა.

თბილისში სიტუაცია მალევე შეაფასეს. შსს-ს ხელმძღვანელობამ რეგიონში სასწრაფოდ გაგზავნა საკუთარი წარმომადგენლები მოსა-

ლაპარაკებლად და „ემოციური ახალგაზრდების“ რისხვის ჩასახშობად. ვილაცებს ხელისუფლებაში ადგილი შესთავაზეს, ვილაცებს დაპირდნენ, ბიზნესში დაგეხმარებოდათ. საინიციატივო ჯგუფიდან ერთადერთი ვაგ ჩახალიანი არ გაჩუმდა. ის აგრძელებდა საქართველოს და სომხეთის ხელისუფლების დადანაშაულებას მცდელობაში, რომ „მოესყიდათ“ რეგიონი.

ჯერ კიდევ მაშინ, ექვსი წლის წინ ჩახალიანი სეპარატისტობასა და ქართველოფობიაში არაერთხელ დაუდანაშაულებიათ. ის ყოველთვის ბრაზობდა, როცა მეც იმავეს ვეკითხებოდი და ორი არგუმენტი მოჰქონ-



ციხიდან გათავისუფლების დღეს, ვაჟ ჩახალიანი ავლაბარში მდებარე სურბ ეჩმიაძინის ეკლესიაში სომხური ეპარქიის მღვდელმსახურებს შეხვდა. თბილისი, 24 იანვარი 2013

ფოტო ბაქრაშვილი აკატი

და: „ქართველი ცოლი მყავს“ და „თუკი სააკაშვილი არ მომწონს, რატომ უნდა დავხვედროდი გამგეობაში ვარდების თაიგულით?“

ეს სიტყვები ადგილობრივ გამგეობასთან აქციის წინ მითხრა. დიდი ხნის განმავლობაში თბილისი ჯავახეთს ერთი ოჯახის, რაისიანოვების ხელით მართავდა (სწორედ მათ დაეყრდნო „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ). მათი მექრთამეობის შესახებ მაშინ უკლებლივ ყველა დაპარაკობდა. თბილისიდან აჭიანურებდნენ რაისიანოვების ხელისუფლებიდან ჩამოშორებას, ჯავახეთში კი ფიქრობდნენ, რომ საქართველოს ხელსუფლებას არაფრის შეცვლა არ სურდა.

საბოლოოდ ცვლილებებმა ჯავახეთამდეც მიადნია, ოღონდ, რამდენიმე წლის შემდეგ. აქ არც ერთი პრეზიდენტი არ ყვარებიათ, და ალბათ, არც შეიყვარებენ ისე, როგორც სააკაშვილს. ის პირველი ქართველი ლიდერი იყო, რომელსაც არ ეშინოდა ჯავახეთში ჩასვლის და მეტიც – ყოველთვე დადიოდა იქ. პრეზიდენტი სოფლებში მეუღლესთან ერთად ჩადიოდა, ხვდებოდა უბრალო ადამიანებს, და მათთან თავი ისე ეჭირა, როგორც თანასწორებთან. არაფერ მსგავსზე ადგილობრივ მცხოვრებლებს მანამდე არასდროს უოცნებიათ.

საკაშვილის გუნდმა ჯავახეთში არანახული მშენებლობები დაიწყო. გაარემონტა ცენტრალური გზა და დედაქალაქამდე კიდევ ერთი ახალი გზა გაიყვანა. რეგიონში, სადაც ნახევარი წელიწადი მძიმე ზამთარია, იაფი გაზი გაიყვანეს, აღარაფერს ვამბობ დროულად გაცემულ პენსიებსა და ხელფასებზე.

იმდროინდელი ოპოზიცია ხშირად სპეკულირებდა იმით, რომ სააკაშვილის პარტია ჯავახეთში 90 პროცენტზე მეტს იღებდა. მაგრამ ცოტა აცნობიერებდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ადამიანი ადგილობრივი გლეხებისთვის, რადგან სააკაშვილამდე მათ დიდი ხნის განმავლობაში უმეორებდნენ, რომ „მეორეხარისხოვანი მოქალაქეები“ იყვნენ და მათთვის არ ეცალათ.

საკაშვილის პოლიტიკის ერთ-ერთი დიდი წარმატებული ნაბიჯი იყო საგანმანათლებლო პროექტი ჯავახეთის აბიტურიენტებისთვის. მათ საშუალება მისცეს შეღავათიანი პირობებით ესწავლათ ქართულ და არა სომხურ ან რუსულ უნივერსიტეტებში. სპეციალისტები ამ ახალგაზრდებს ჯავახეთის ინტეგრაციის „პირველ მერცხლებს“ უწოდებდნენ.

გასული თვის ბოლოს მათ ქართული ენის ცოდნა გამოადგათ. სააკაშვილის ფრაზას ჩახალიანის შესახებ ჯავახეთელი სტუდენტები მეორე დღესვე უზიარებდნენ ერთმანეთს. ბევრი მათგანისთვის პრეზიდენტის ერთმა ათწუთიანმა გამოსვლამ ხაზი გადაუსვა იმ იმედებს და იდეებს, რომლისაც ირწმუნეს. მათ კვლავ შეახსენეს: ჯავახეთის ნებისმიერი მცხოვრები, თუკი პოლიტიკა ამას მოითხოვს, ხელსაყრელ დროს შეიძლება სეპარატისტად გამოაცხადო.

ჯავახეთში ცოტა ვინმეს თუ სჯერა, რომ ჩახალიანი დამნაშავეა. ის 2008 წელს დაიჭირეს, აგვისტოს ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მასობრივ არეულობებში მონაწილეობის, ხულიგნობის და იარაღის შენახვის გამო. სალამოს, როცა ვააგი მშობლიურ რეგიონში დაბრუნდა, ახალქალაქის ცენტრში შეკრებილი ასობით უბრალო მცხოვრები დახვდა. ძალიან ცოტამ იცოდა, თუ რატომ დაიჭირეს ჩახალიანი, პოლიტიკური პროტესტის გამოხატვა, მით უმეტეს, არც უცდიათ. ისინი, უბრალოდ, თანამოქალაქის მხარდასაჭერად შეიკრიბნენ.

ის, რომ ჩახალიანის სახელი ორ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკს შორის განტევივების ვაცად იქცეოდა მაშინ გახდებოდა, როცა პარლამენტში წინადადება შევიდა, რომ ის პოლიტიკური პატიმრების სიაში შეეყვანათ. ამ ინიციატივით ომბუდსმენი, უჩა ნანუაშვილი გამოვიდა. ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ადვოკატები რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები დაერწმუნებინათ, რომ ჩახალიანის საქმე შეკერეს და ის ციხეში მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ „ახალგაზრდა ჯავახის“ სხვა წევრებისგან განსხვავებით, კატეგორული უარი განაცხადა ეთანამშრომლა „ნაციონალებთან“.

ნანუაშვილის მიერ მოყვანილი არგუმენტები საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ჩახალიანი პოლიტპატიმართა თავდაპირველ სიაში შეეყვანათ, თუმცა ცოტა ხნით. ის მაშინვე ამოიღეს სიიდან მას შემდეგ, რაც პარლამენტის უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ „რუსთავი2“-ის ეთერით განაცხადა, რომ ჩახალიანი ახალქალაქში მართლმადიდებლურ ეკლესიას დაესხა თავს.

ასეთი ინციდენტი მართლაც მოხდა. სამღვდლო პირების შევიწროებასა და უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში შეჭრაში რამდენიმე ათეული ადგილობრივი ახალგაზრდა მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაშაულის შესახებ მთელმა ქვეყანამ

გაიგო, ორგანიზატორები და მონაწილეები არ გაუსამართლებიათ და არ დაუსჯიათ.

დღეს, როცა ჩახალიანის შესახებ მკაცრ განცხადებებს აკეთებენ, ოპოზიცია იმ ადამიანებს ივიწყებს, რომლებიც 2005 წელს ბარიკადებზე „სეპარატისტების“ გვერდით იდგნენ. მაგალითად, ნაირ ირიციანს, რომელიც ახალქალაქის გამგეობას „ნაციონალური მოძრაობის პარტიულეთით ხელმძღვანელობდა. მხოლოდ წინა კვირაში დაჰყვა ირიციანი დღევანდელ პოლიტიკურ მოდას, პოლიტიკური ხედვა შეიცვალა და კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა.

ასე, შორს ნასვლაც არ არის საქირო. ე.წ. სეპარატიზმის შესახებ ოპოზიციონერებს შეუძლიათ ყოველდღე გაიხსენონ, როცა პარლამენტში მივლენ. დეპუტატის მანდატი ახალქალაქიდან ნაციონალური მოძრაობის წევრს, სამველ პეტროსიანს, „ჯავახის“ 90-იანი წლების ლიდერს აქვს. ოდესღაც სწორედ მან მოუწყო შეიარაღებული წინააღმდეგობა ზვიად გამსახურდიას წარგზავნილებს.

ის, რომ ამ ადამიანებთან და სხვა აქტივისტებთან მოლაპარაკება და თანამშრომლობა შეძლეს, მისასალმებელია. ჩახალიანი – ანგლოზი ნამდვილად არ არის. მაგრამ თუკი ის ჯამშუშია და ბრალი სხვა მძიმე დანაშაულებებშიც ედება, რაშიც პრეზიდენტი ადანაშაულებს, მაშინ, ალბათ, სჯობდა, შესაბამისი მუხლებით გაესამართლებინათ და არა – ხულიგნობისა და იარაღის შენახვის ბრალდებით. ამის გაკეთებას „ნაციონალებს“ არავინ უშლიდა იმ ოთხი წლის განმავლობაში, სანამ ჩახალიანი ციხეში იყო.

მჯერა, რომ 32 წლის ჩახალიანი არ დაწყნარდება. ციხეში მან ქართული ენა ისწავლა და დარწმუნდა, რომ ბრძოლა მშობლიური რეგიონის ღირსეული ცხოვრებისთვის – სწორი გზაა.

ძნელად წარმომიდგენია, რომ ჩახალიანმა დღევანდელ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობა შეძლოს, არაფერს ვიტყვი ოპოზიციაზე, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად ბრალს სდებს იმის გამო, რომ მან იგი ციხეში გამოკეტა. შესაძლოა, მან ან რეგიონის ხელისუფლებაში მოსვლა მოინდომოს, ან – სულაც პარლამენტის მაჟორიტარობა.

არ უნდა დავუშვათ, რომ ეს ძალადობაში გადაიზარდოს. ამ შემთხვევაში შინაგან საქმეთა მინისტრის დაპირების იმედად ვრჩებით, რომელიც ამბობს, რომ დანაშაულისთვის მკაცრად დაისაჯოს ყველა, ვისაც ამნისტია შეეხო. **■**

## ■ დეპუტატის მანდატი ახალქალაქიდან ნაციონალ სამველ პეტროსიანს, «ჯავახის» 90-იანი წლების ლიდერს აქვს. ოდესღაც სწორედ მან მოუწყო შეიარაღებული წინააღმდეგობა ზვიად გამსახურდიას წარგზავნილებს.

ყოვანი ანგნოლ 11:20  
მეცხანი ანოლ კოქანი

# PRESS-ზონა

დაქმ გრანადამპოქოქონა




საქონე სარცაიანი



# ვაზის ყვავილობის მოლოდინში

კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის ფონდი „ქართუ“ კომპენსაციებს არიგებს. ამ მიზნით 100 მილიონ ლარამდე გამოიყო. ფულის დარიგება მცირემაშსტაბიანი, ლოკალური საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობს. მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ დახმარება უსამართლოდ ნაწილდება.

ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი, ფოტო: სოფო აფციაური





ადიდებულმა „მღვრიე ხევმა“ ვენახი ტონიანი ლოდებითა და სოფლიდან ჩამოტანილი ნაგვით გაავსო. კარდენახი.

## სტიქიური უბედურების ზონის გარეთ

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში, ცენტრალური გზიდან ალაზნისკენ, „მღვრიე ხევის“ კალაპოტს თუ გაუყვებით, ორიოდე კილომეტრის შემდეგ ვენახებს, უფრო ზუსტად კი ნავენახარ ნაკვეთებს მიადგებით. აგვისტოში, სტიქიის შედეგად მოვარდნილმა წყალმა როგორც სამანქანო, ისე ფეხით მოსიარულეთა გზა მოსპო, ამიტომ ვენახში მოსახვედრად ხევის ფონის გატოპვა მოგიწევთ. საკმაოდ ღრმა კალაპოტიდან ამოსვლას თუ მოახერხებთ, უცნაურ სურათს დაინახავთ: – ბოძებდაღწეულ ვენახში, მინაზე გართხმულ რქანიტელის მწკრივებს შორის, უზარმაზარი ლოდები ყრია. ნავენახარი ქვითა და ხევის მიერ სოფლიდან ჩამოტანილი ნაგვითაა საკვებ.

აქაურობის მეპატრონე ორმოციოდე წლის გლეხი, ზაზა მჭედლიშვილია, მეგობრებთან ერთად ვენახს ასუფთავებს, ადგილის განმენდის შემდეგ თითოეულ ვაზთან იჩოქებს, ძირს უმოწმებს, თუ გადატეხილი არაა, ცდილობს ფეხზე წამოაყენოს და ხელახლა გაბმულ მავთულზე დაამაგროს.

ზაზას ვენახს, გარდა იმისა, რომ დაისეტყვა, ადიდებულმა „მღვრიე ხევმაც“ გადაუარა და ტონიან ქვებთან ერთად შლამითა და ნაგვით გაავსო. ზაზა ვარაუდობს, რომ ვენახის მესამედის აღდგენასლა მოახერხებს. – „როგორმე მაინც ვენახად უნდა ვაქციო“ – ამბობს ის.

„მოსავალს ველოდებოდი, ყურძენს თვალი უკვე შესული ჰქონდა, ერთ დილას ჩამოვყდი და ყველაფერი განადგურებული დამხვდა, მინაზე დავჯექი, ტირილი მომინდა, კინაღამ ბავშვივით ავზლუქუნდი“.

მათი მთავარი პრობლემა ისაა, რომ კარდენახი სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადებული არ არის. ამის გამო კომპენსაციას ვერ იღებენ.

კარდენახელი მასწავლებლის, ნინო კორკოტაშვილის პრობლემა უფრო რთულია, რადგან მას ყურძენის მოსავლის მოსაყვანად საფინანსო ორგანიზაცია „ფინკადან“ ოთხი ათასი ლარი სესხი აქვს აღებული. ამ მდგომარეობაში კიდევ ოთხმოცდაათი ოჯახია. სტიქიის შემდეგ ზარალის დამთვლელმა კომისიამ სიები შექმნა, ამ სიაში მოხვედრილმა გლეხებმა ვალების გადავადება და პრობლემის მოგვარებაში სახელმწიფოს დახმარება ითხოვეს. მათ ადგილობრივი გამგეობების მიერ გაცემული ცნობები აქვთ, რომელთა მიხედვითაც

სტიქიის დროს სხვადასხვა სიმძიმის ზარალი ნახეს.

იანვარში მოვალეებმა ბანკებისგან შეტყობინება მიიღეს, რომ თუ ვალებს არ დაფარავენ, საქმე აღმასრულებელს გადაეცემა. მათ დიდ ნაწილს მიწებს წაართმევენ, ნაწილს კი სახლებიდან ნივთებს გაუყიდიან. გლეხების მიერ აღებული სესხი 4-5 ათასიდან 14-15 ათასამდე მერყეობს, ამ თანხას პროცენტი და ახლახან დარიცხული ჯარიმებიც ემატება.

გლეხებმა გურჯაანის რაიონის გამგებელს, გუბერნატორს, პრემიერ – მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს ერთობლივი წერილით მიმართეს. ვალების გადავადებასა და ჯარიმის მოხსნაში სახელმწიფოსგან თანადგომას ითხოვეს. გამგებლმა განაცხადა, რომ კერძო საფინანსო ორგანიზაციის საქმიანობაში ვერ ჩაერეოდა, თუმცა, თავისი მოადგილე მაინც მიავლინა, რომელიც ჯერ დაზარალებულებს, შემდეგ კი ბანკების წარმომადგენლებს შეხვდა და ნინო კორკოტაშვილის თქმით „ურთიერთობა მოალობ“. გლეხები საბოლოო პასუხს 10-12 დღეში ელიან.

კარდენახი სტიქიური უბედურების ზონად რომ გამოცხადებულიყო, დაზარალებული გლეხები კომპენსაციასაც მიიღებდნენ და სესხების რესტრუქტურირებაშიც სახელმწიფო უფრო აქტიურად ჩაერეოდა. „ნახევარ ჰექტარზე მეტ ადგილზე ვენახი და მარწყვის ბალი ჰქონდა გაშენებული. 19 ივლისს, თელავის სტიქიის დღეს, საღამოს, კარდენახსაც ისეთივე სეტყვა და ქარიშხალი დაატყდა, ვაზის მწკრივები მინაზე დაანვინა, ყურძენი გაშავდა, დალბა, ვენახების ორი მესამედი პრაქტიკულად განადგურდა“, – ამბობს ნინო კორკოტაშვილი.

კარდენახი აგვისტოშიც დაისეტყვა და გლეხების დიდ ნაწილს დარჩენილი მოსავალიც მოუხსპო.

„როცა საკრებულოს გაცემული ცნობა მაქვს, რომ ნაკვეთი 80%-ით დამესეტყვა, ეს სტიქია არ არის? როცა 4 000 ლარი ვალი ავიღე, 10-15 ტონა ყურძენს ველოდი, და ერთი ტონაც ვერ დავკრიფე, ამას სტიქიის გარდა რა შეიძლება ეწოდოს? – კითხულობს კორკოტაშვილი. მისივე თქმით, რამდენიმე სახლს ქარიშხალმა და სეტყვამ შიფერის სახურავები მოხადა და დაუშტვრია. ეს ოჯახები დღემდე დახმარებას ითხოვენ, „თუნდაც მხოლოდ საშენ მასალას“. თუმცა, მათ ყურადღებას არავინ აქცევს.

■ გლეხების მთავარი პრობლემა ისაა, რომ კარდენახი სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადებული არ არის. ამის გამო კომპენსაციას ვერ იღებენ.





▲ ნინო კორკოტაშვილმა მოსავლის მოსაყვანად 4 000 ლარი ვალი აიღო. კარდენახი.

◀ გლეხები მუშაობის პარალელურად ქეიფობენ და ვაზის სადღეგრძელოს სვამენ. კარდენახი.

## კომპენსაცია

„ისეთი უქონელი ვარ, ხეზე ავიდე – დაბლა არაფერი დამრჩება“ – ცრემლნარევი ღიმილით მეუბნება სამოციოდე წლის ქალი, ჩუმლაცელი ჟუჟუნა გოჯაძე. ის გურჯაანის რაიონული მუნიციპალიტეტის შენობაში, გამგებლის კაბინეტის წინ თავის რიგს ელის.

რაიონის გამგებელს, აკაკი ოსიაშვილს მოქალაქეთა მიღების დღე აქვს. ჟუჟუნას გარდა მასთან შეხვედრა რამდენიმე ათეულ ადამიანს სურს. გურჯაანელები კაბინეტში ჯგუფ-ჯგუფად შედიან, დაახლოებით ნახევარ საათს ჩერდებიან, და ასევე ჯგუფად გამოდიან, მათ სხვა მოქალაქეები ანაცვლებენ.

კახელები გასული წლის ივლისში თავს დამტყდარი სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ. პრესბარათების, დიქტოფონის და ფოტოაპარატის დანახვაზე გარშემო გვეხვევიან. თავიანთ გასაჭირზე ლაპარაკი სურთ.

საუბარს ჟუჟუნა გოჯაძე განაგრძობს: „სტიქიამ ადგილი გამინადგურა – ამბობს ის – განცხადება აღრეც დავწერე და ერთჯერადი დახმარება ვითხოვე, მაგრამ ამაოდ. სახლში სკამიც არ მაქვს, რომ დავჯდე. დასეტყვილი ნაკვეთის ფულსაც არ მაძლევენ. სიაში საერთოდ ვერ მოვხვდი, ვწვალბ მარტოქალი, სამი შვილი ობლად გავზარდე. გამგებელს ამას წინათაც შევხვდი, მოადგილესთან გამგზავნა, მოადგილემ სოფლის გამგებლთან – შუამდგომლობა მოიტანეო. წავედი, მოვიტანე, საშველი მაინც არ დამადგა... სტიქიის ფულზე აღარ ვლაპარაკობ, იქნებ ერთჯერადად მაინც დამეხმარონ. ორი ლარი მაქვს, რომ აქედან სახლში მივიდე, მაგრამ რალაცნაირად უნდა მოვახერხო და ჩემს დღეში ჩავარდნილებთან ერთად თბილისში ჩამოვიდე. ბიძინას უნდა შევხვდეთ, ან სახალხო დამცველს, ან ვინმეს, გამგეობაში ტყუილად იმდენი ვიარე, მერჩია, იმ გზის ფულით პური მეყიდა.“

გოჯაძეს დახმარებაზე უარი რამდენჯერმე უთხრეს: „მიზეზი? მიზეზი სულ აქვთ – არ ელევათ. ჯერ ხელისუფლების გადმოზარება ჰქონდათ, არ ეცალათ, ახლა იღირსეს როგორც იქნა, მაგრამ ჯერ თავისიანებს ისტუმრებენ. მეზობლების ვალები მაქვს, მცხვენია, მათთვის თვალეებში ველარ შემინხედავს. სახლში ჩუმად შევდივარ, რომ არ დამინახონ.“



„ესეც შენი „ქართული ოცნება,“ ვოცნებობ და ვარ ასე“ – ჟუჟუნა გოჯაძის ამ რეპლიკას დახმარების სათხოვნელად გამგეობაში მისული კახელები სიცილით და მოწონების შეძახილებით ხვდებიან.

შემდეგ ნაკადთან ერთად გამგებლის კა-

■ „როცა საკრებულოს გაცემული ცნობა მაქვს, რომ ნაკვეთი 80%-ით დამესეტყვა, ეს სტიქია არ არის? როცა 4 000 ლარი ვალი ავიღე, 10-15 ტონა ყურძენს ველოდი, და ერთ ტონაც ვერ დავკრიფე, ამას სტიქიის გარდა რა შეიძლება ეწოდოს?“ – კითხულობს კორკოტაშვილი.



ბინეტში ჩვენც შევდივართ. საშუალო ზომის ოთახში, გამგებლის მაგიდის მოპირდაპირე მხარეს, კედელთან, ილია ჭავჭავაძის დიდი პორტრეტის ქვეშ, ხის სკამებზე ათამდე მოქალაქე ზის. ისინი მაგიდასთან სათითაოდ მიდიან და აკაკი ოსიაშვილს ხმადაბლა, თი-

თქმის ჩურჩულით ესაუბრებიან.

„გთხოვთ სახლის გადახურვაში დამეხმაროთ“, – ამბობს ჭალარათმიანი, მოხუცი ქალბატონი, შავი, ნაქსოვი ქუდით და ნაცრისფერი პალტოთი. მარტოხელა მოხუცს სეტყვამ შიფერის სახურავი დაუზიანა. შე-

▲ სოფლის მოსახლეობის ზოგად სიღუფჭირეს სტიქიაც დაემატა. ჩემლაყი.



▲ გურჯაანელები რაიონის გამგებელთან შესახვედრად რიგში დგანან. გურჯაანი.

აკეთეს, თუმცა ცუდად, ამიტომ ყოველ წვიმას შიშით ელოდება: „როგორც გარეთ წვიმს, ისევე – შიგნით, მთელი სახლი წყლით ივსება, ტაშტები მიდგას.“

აკაკი ოსიაშვილი მოქალაქეს განუმარტავს, რომ სახურავების საკითხს „ქართუ ჯგუფი“ სწავლობს. „განცხადება შემოიტანეთ, კომისია მოვა, შეამოწმებს და თუ საჭიროდ მიიჩნევს ან გადახურვაში დაგეხმარებიან ან ფულად კომპენსაციას მოგცემენ“ – ამბობს ის.

ინტერვიუს დახმარების მომლოდინე ხალხის თანდასწრებით გვადღევს: – რამდენ სოფელზე გაიცა დახმარება?

– ჯერ სრულად მხოლოდ ერთი სოფელი, კალაური დაკმაყოფილდა.

– რა ინვესს ხალხის უკმაყოფილებას?

– არიან ისეთებიც, რომლებსაც ორი ნაკვეთი აქვთ, ერთი დაესტყვათ, მეორე – არა. მიმტკიცებენ, რომ იქაც იყო სტყვევა. არადა, ვიცი – არ ყოფილა, მთელი რაიონი მაქვს შემოვლილი.

– რის მიხედვით განისაზღვრა სტიქიური უბედურების ზონები?

– ახლად მომხდარ სტიქიაზე კომისიის დამონმება ხდებოდა.

– კომისიებში ვინ შედიოდა?

– სამინისტროდან ჩამოსული სპეციალისტები, სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები.

– გამორიცხავთ, რომ ეს ზონები შესაძლოა არასწორად განსაზღვრულიყო?

– მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი თვეა გასული, ზედ ახლაც ეტყობა, ვინ რა დოზით დაზარალდა.

– კარდენახი უბედურების ზონად არაა გამოცხადებული, მაგრამ მე ვნახე ნარგავები, რომელიც აბსოლუტურად განადგურებულია.

– კარდენახში მაისში იყო სტყვევა.

– რა მნიშვნელობა აქვს?

– ის, რომ ჩვენ ივლისსა და აგვისტოში დასეტყვილ გლეხებს ვეხმარებით.

– თქვენი აზრით, ეს სამართლიანია?

– კიდევ გეუბნებით, კარდენახი სტიქიის ზონა არ არის, იქ ვერ მაჩვენებთ განადგურებულ ნაკვეთებს.

– როგორ ვერ გაჩვენებთ, რამდენიმე საათის წინ ვნახე...

– მე კიდევ გაჩვენებთ იმას, რასაც სტიქიური უბედურების ზონას ვეძახით.

– ისეთ ადამიანებს, რომელთაც სახლის შეკეთება სჭირდებათ, როგორ ეხმარებით?

– გამგეობას სახლების შეკეთების საშუალება არ გააჩნია. იმ ფირმებს ვუკავშირდებით, რომლებმაც ეს სახლები თავის დროზე გაარემონტეს, მათ ვალდებულება ჰქონდათ, რომ წესიერად გაეკეთებინათ. ყველანაირად ვცდილობთ, გლეხებს დავეხმაროთ – ასე ბრძანა ბატონმა ბიძინამ“, – გამგებელი ბოლო ფრაზას ხაზგასმით წარმოთქვამს.

გამგებლის თანასოფელს, ჩუმლაცელს

ნინო ყოჩაშვილის სახლს ივლისში, სტიქიის დროს, ქარიშხალმა სახურავი მოხადა და მეორე სართულზე ფანჯრები ჩაამსხვრია. „მოვიდნენ, ვითომ გააკეთეს, 2600 ლარი ჩანერეს და წავიდნენ, იქიდან მოყოლებული წვიმის დროს მეორე სართულის ოთახებში წყალი ჩამოდის.“

ნესტიან ოთახებში შშორისა და ობის სუნი დგას, შპალერი წყლისგან დაზიანებულია და კედლებზე ძლივს მაგრდება. ნინოს სახლის გარდა ნაკვეთიც დაესეტყვა, თუმცა დაზარალებულთა სიაში მაინც არ არის. ყოჩაშვილი ფიქრობს, რომ ზარალის დამთვლელმა კომისიებმა სიები კორუფციული გარიგებების ფონზე შეადგინეს.

სახლი დაუზიანდათ, თუმცა დახმარება არც ნინოს 80 წლის მშობლებს მიუღიათ. ისინი სოფლის ბოლოს, ნახევრად დანგრეულ, ერთსართულიან სახლში ცხოვრობენ. ნინოს დედა, ნანი ყოჩაშვილი მეუღლეს, გიორგი ყოჩაშვილს ასე გვაცნობს: „ბრუციანია და ყრუი, მაგრამ ხელის ცეცებით ცდილობს ჩამონგრეული ადგილები თვითონ შეაკეთოს, ჩვენთვის არავის არავითარი კომპენსაცია არ მოუცია.“

„თბილისში ამბავი ჩაიტანეთ, რა დღეში ვართ, იქნება გვეშველოს,“ – მეუბნება გიორგი პაპა. სიარულისას ჯოხს ეყრდნობა და გადაადგილება უჭირს, თუმცა მავთულით შემოღობილ ეზოს კარამდე მაინც გვააცილებს.

**სეტყვა და ქარიშხალი კახეთში**

2012 წლის 19 ივლისს, ნაშუალამევს, თელაველი ირაკლი ტულაშვილი გრიალის ხმამ გააღვიძა. „აი, ისეთი ამბავი შეიქნა, რომ კარები შემოანგრია. ველარაფერს ველარ ვხედავდით – წნევა იყო ალბათ, როგორც ბურთი, ისე გასკდა და გამოგლიჯა კედელი“ – ამბობდა ირაკლი სტიქიის მეორე დღეს „ლიბერალთან“ საუბარში. მისი ოჯახი მრავალსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე ცხოვრობს, სახლს აგურით მიშენებული კედელი ჩამოენგრა. თუმცა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში სოფლები აღმოჩნდნენ. აქ გლეხებს სახლებიც დაუზიანდათ და მოსავალიც გაუნადგურდათ.

სტიქიის შედეგად ყველაზე მეტად თელავის რაიონი დაზარალდა, ქარიშხალმა 770 შენობას და სახლს სახურავები გადაახადა,

სეტყვამ კი 6 800 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მიწასთან გაასწორა. 5 400 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სეტყვამ გურჯაანში, ყვარელსა და ლაგოდეხშიც გაანადგურა.

12-ზე მეტ ადამიანს სამედიცინო დახმარება დასჭირდა, ზოგიერთი მათგანი მას შემდეგ დაშავდა, რაც თელავში რამდენიმე შენობაში დაზიანებული კედლები ჩამოინგრა, თუმცა, მსხვერპლი არ ყოფილა.

ცუდმა ამინდმა კომუნიკაციები, გზები, წყლის და ენერგომომარაგების ინფრასტრუქტურაც დააზიანა.

თავდაცვის სამინისტრომ სტიქიური უბედურების ზონაში 1 300 რეზერვისტი და ერთი საინჟინრო ბატალიონი გაგზავნა. კახელებს დახმარება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის თბილისის წარმომადგენლობამაც აღმოუჩინა. მათ წყლის ბიდონები, დასაკეცი საწოლები, მატრასები, საბნები, ბალიშები, თეთრეული და კარგები დაახლოებით 300 ადამიანს დაურთვეს.

ორმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ CARE International-მა და World Vision-მა, რომელთაც 20 ივლისს ახმეტის, თელავის და გურჯაანის რაიონების თერთმეტამდე დასახლება ერთობლივად შეაფასეს, განაცხადეს, რომ „ეს იყო უმსხვილესი კატასტროფა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ“.

**სტიქია და პოლიტიკა**

სტიქიის შემდგომი რეაბილიტაციის საკითხი 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, პოლიტიკური პარტიებისთვის კამპანიის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა.

ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნოდ დაირიცხული მრავალმილიონიანი ჯარიმა გადაიხადა და განაცხადა, რომ ეს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გააკეთა.

ეს ნაბიჯი „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონის მოქმედების პირობებში ივანიშვილისთვის ფულის შეწირვის ერთადერთი გზა იყო.

მაშინდელმა ხელისუფლებამ ივანიშვილის ნაბიჯი ქველმოქმედებად არ მიიღო. როგორც მათი წარმომადგენლები აცხადებდნენ, „ჯარიმის გადახდის რეალური მოტივი გადახდაზე თავდაპირველი უარის თქმის შედეგად

■ „ორი ლარი მაქვს, რომ აქედან სახლში მივიდე, მაგრამ რალაცნაირად უნდა მოვახერხო და ჩემს დღეში ჩავარდნილებთან ერთად თბილისში ჩამოვიდე. ბიძინას უნდა შევხედეთ, ან სახალხო დამცველს, ან ვინმეს, გამგეობაში ტყუილად იმდენი ვიარე, მერჩია, იმ გზის ფულით პური მეყიდა.“



▲ ნანი და მისი მეუღლე ნახევრად დანგრეულ ერთსართულიან სახლში ცხოვრობენ. ჩუმლაყი.

ხელისუფლების მიერ ჩამორთმეულ საბანკო აქტივებზე კონტროლის დაბრუნება იყო“.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა პოლიტიკურ ოპონენტებს მოუწოდა „ფეხქვეშ ნუ გაგვებლანდებიან და ხელს ნუ შეგვიშლიან იმ დიდ გეგმებში, რომელიც ჩვენ ამ რეგიონში გვაქვს.“

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ხშირად ნახავდით ცნობილ პოლიტიკოსებს, რომლებიც ტელეკამერების თანხლებით სავლელ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობ-

დნენ. არჩევნების შემდეგ დაზარალებულ რეგიონში მათი აქტივობა აღარ შეინიშნება.

კარდენახელი გლეხი ზაზა მჭედლიშვილი, სავარაუდოდ, კომპენსაციას ვერ მიიღებს. თუმცა, თავს დამტყდარი უბედურების მიუხედავად, იმედს არ კარგავს: – „ისევ ჩვენი ძალებით მოვახერხებთ რამეს, ერთმანეთს დავეხმარებით, მხარში ამოვუდგებით და ერთხელაც იქნება ხელახლა ვნახავ ჩემი ვაზის ყვავილობას!“



◀ გიორგი პაპა: „თბილისში ამბავი ჩაიტანეთ, რა დღეში ვართ, იქნება გვეშველოს“. ჩუმლაცი.

▼ დახმარება არც ოთხმოცი წლის ნანი ყოჩაშვილს აუღია. ჩუმლაცი.



■ კარდენახელი გლეხი ზაზა მჭედლიშვილი, სავარაუდოდ, კომპენსაციას ვერ მიიღებს. თუმცა, თავს დამტყდარი უბედურების მიუხედავად, იმედს არ კარგავს: – „ისევ ჩვენი ძალებით მოვახერხებთ რამეს, ერთმანეთს დავეხმარებით, მხარში ამოვუდგებით და ერთხელაც იქნება, ხელახლა ვნახავ ჩემი ვაზის ყვავილობას!“

# მექვიჩა მთავრობა

მოქალაქეებისათვის განუვლი ფასიანი მომსახურებებიდან სახელმწიფო წელიწადში 600 მილიონ ლარამდე შემოსავალს და ათობით მილიონი ლარის მოგებას იღებს. ბიზნესისა და ქონების რეგისტრაცია, პირადობის მონმობების აღება, გაფორმების ეკონომიკური ზონის მომსახურება – ეს სერვისების არასრული ჩამონათვალია, რომელსაც მთავრობა მოსახლეობას საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ანუ სსიპების საშუალებით სთავაზობს. სერვისების უდიდესი ნაწილი იუსტიციის სახლებშია განთავსებული. ქვეყნის მასშტაბით 11-ზე მეტი იუსტიციის სახლი ფუნქციონირებს.

## მარი როჭიკაშვილი, „სტუდია მონიტორი“

ბოლო რამდენიმე წელიწადში სახელმწიფო სტრუქტურებმა სპეციალურად საჯარო სამართლის იურიდიული პირები ე.წ. სსიპები დააფუძნეს. ეს იურიდიული ფორმა, როგორც ექსპერტები გვეუბნებიან, ფასიანი მომსახურების გასაწევად უფრო ხელსაყრელია. სხვადასხვა არაოფიციალური მონაცემით დღეისათვის 3000-მდე სსიპია დაფუძნებული, თუმცა, მათი რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემის მოპოვება ვერ შეეძლებოდა.

სსიპი, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება. ამ გარემოების გამო ბიუჯეტიდან თანხები იზოგება, თუმცა, მოსახლეობას მომსახურების მაღალი ფასები მიძიმე ტვირთად დააწვავს. ექსპერტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირების რიცხოვნობის ზრდა, შესაბამისი დასაბუთების გარეშე, სახიფათოა. „რეალურად, ეს არის ის მომსახურება, რომელსაც მოქალაქეს სახელმწიფო, ან თვითმართველობა უწევდა და, პრაქტიკულად, დღესაც სახელმწიფო უწევს. მანამდე ამაში, როგორც წესი, მოქალაქე არ იხდიდა ფულს, ან თუ იხდიდა, ძალიან მინიმალურ თანხას. დღეს კი იხდის და არც თუ მცირე თანხას“, - აცხადებს ალაფიშვილი

საბიუჯეტო შემოსავლების მიხედვით, 2009 წელს სსიპების მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 148 მილიონი ლარი შეადგინა, 2010 წელს ეს თანხა 309

მილიონ ლარამდე გაიზარდა, 2011 წელს კი, 552 მილიონ ლარს გადააჭარბა.

## სერვისების სააგენტო

სერვისების სააგენტოს, რომელსაც თავიდან სამოქალაქო რეესტრი ერქვა, იუსტიციის სამინისტრომ სსიპის სტატუსი 2006 წლიდან მიანიჭა. სააგენტო მომხმარებელს 20-მდე მომსახურებას სთავაზობს. ე.წ. „ჩიპიანი“ , ანუ აიდი ბარათები მთავრობამ 2011 წლის აგვისტოდან შემოიღო. 10 დღეში მისი მიღება 30 ლარი ღირს. დაჩქარების, ანუ ბარათის უფრო ხანმოკლე დროში მიღების, შემთხვევაში ფასი 65 ლარამდე იზრდება. საქართველოს მოქალაქის პასპორტის ღირებულება 100 ლარია, დაჩქარებული პროცედურა კი 205 ლარი ჯდება. პირადობის მონმობის ღირებულება 30 ლარია, დაჩქარების შემთხვევაში კი – 65 ლარი. ქორწინების რეგისტრაცია სპეციალური სარიტუალო მომსახურების საფასური 150 ლარს შეადგენს.

მოქალაქეები, რომლებიც ჩვენ ადგილზე გამოვკითხეთ, აცხადებენ, რომ მომსახურებით კმაყოფილი არიან, თუმცა სერვისის ფასი ძვირია. „30 ლარია ახლა, 5 ლარს არ ვიხდიდით ადრე? 30 ლარი ძალიან ძვირია. ვერ ვიღებ პირადობას. მინდოდა და ვერ ავიღე“.

„ავიღე საბაზო ატესტატი ჩემი ცხრაკლასდამთავრებული შვილისთვის.



ფასები, რა თქმა უნდა, ძვირია.“

„ახალ ბინაში ჩანერა მჭირდებოდა, დაჩქარებულად გადაკეთებინე, დღესვე მინდოდა, რომ ამელო და ამიტომ 65 ლარი გადავიხადე, გლენი ხალხისთვის ძვირია“.

ოფიციალური მონაცემებით, მომსახურების ფასები სხვადასხვა კომპონენტებისგან შედგება. ბიომეტრიული პასპორტის ღირებულების მაგალითზე აღმოჩნდა, რომ 100 ლარიდან:





ფოტო: ვიქტორ ჯიჯიაძე

იუსტიციის სახლი, თბილისი

29,66 ლარი – შრომის ანაზღაურება,  
13 ლარი – დოკუმენტის თვითღირებულება,  
30,51 – ზედნაღები ხარჯი,  
11,58 – ლარი მოგება  
15,25 – დამატებითი ღირებულების გადასახადი.  
დაჩქარების შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებიდან ყველაზე მეტად მოგება იზრდება.

„არსებობს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ, რომელშიც ცალსახად წერია, რისი უფლება აქვს სსიპ-ს და იქ წერია, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ აქვს კომერციული საქმიანობის უფლება. სახელმწიფოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მოგება არ აქვს არც ერთ სახელმწიფოში“, – აცხადებს ალაფიშვილი.  
სააგენტომ მომსახურებიდან შემოსავა-

ლი 2009 წელს 8,5 მილიონი ლარი მიიღო, 2010 წელს ეს ციფრი – 28, 5-თ მილიონ ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2011 წელს – 39 მილიონი ლარი შეადგინა.  
**საჯარო რეესტრის სააგენტო**  
იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია საჯარო რეესტრის სააგენტოც. მისი ძირითადი ფუნქცია ბიზნესისა და ქონების რეგისტრაციაა.

ინდემნარმედ რეგისტრაცია 20 ლარი ჯდება, დაჩქარებული, ანუ იმავე დღეს რეგისტრაცია კი – 50. ამონაწერი ბიზნესის შესახებ – 15 ლარი ღირს, დაჩქარებულად – 50. ინდივიდუალური მენარმის გაუქმება 100 ლარი ღირს, დაჩქარებული წესით კი – 200 ლარი.

მომსახურების გაზრდილი საფასურის მიუხედავად, შეიძლება მოქალაქეს პრობლემებიც შეექმნას. სოფიო კუჭავამ არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნება გადანყვიტა და საჯარო რეესტრში შესაბამისი დოკუმენტაციაც წარადგინა. რეგისტრაცია დაჩქარებული წესით მოითხოვა და 206 ლარიც გადაიხადა. საბუთს მეორე დღესვე მიაკითხა, თუმცა ხარვეზი იყო დადგენილი და ამონაწერი მზად არ დახვდა.

„დაჩქარებული წესით როცა ვითხოვ და ვიხდი გადასახადს, ნიშნავს, რომ მინდა დაჩქარებულად და მაგისტრის ვიხდი ფულს. რომ შეეტყობინებინათ და ეთქვათ, რომ დადგინდა ხარვეზი, აღმოვფხვრიდი ამ ხარვეზს. შესაბამისად, ის მომსახურება, რომელსაც შემომთავაზებდნენ, ჩემთვის იქნებოდა კარგი. ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ ეს არ არის კარგი მომსახურება“, – აცხადებს კუჭავა.

იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორი ნინო ჩიჩუა განმარტავს, რომ სოფიო კუჭავას შეეძლო შესულიყო მითითებულ ვებგვერდზე და გადაემონებინა სტატუსი. „ქალბატონ სოფიოს ჰქონდა ეს შესაძლებლობა, მან ვერ ნახა ეს სტატუსი და ამის გამო შეიქმნა უკმაყოფილება“, – აცხადებს იუსტიციის სახლის ხელმძღვანელი.

საჯარო რეესტრის ფუნქცია ასევე უძრავი ქონების რეგისტრაციაა. 50-იდან 200 ლარამდე ღირს საკარმიდამო ნაკვეთის რეგისტრაცია. ამდენივე ჯდება უძრავი ქონების იპოთეკა, იჯარა, საკუთრების უფლებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა. ამონაწერის გაკეთება უძრავი ქონების შესახებ 15 ლარია, დაჩქარების შემთხვევაში კი – 50 ლარი. მოქალაქეები ამ სერვისის შესახებაც იმავე აზრისანი არიან.

„პირველადი რეგისტრაცია იყო 15 ლარი, ახლა 51 ლარი გახდა. ძვირია ძალიან“.

„სტატუსი უნდა შევუცვალო საცხოვრებელ ბინას. ამაში მომთხოვეს 50 ლარი“.

„მემკვიდრეობის ნაკვეთის გადაფორმება ჯდება 50 ლარი, თავისი საკომისიოთი 51 ლარი, როდესაც ხელფასი და პენსია არის ძალიან დაბალი, ძვირია ეს ფასები“

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე 3 თვით ადრე, ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, საქართველოს მთავრობამ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის საფასური გააუქმა. რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მოსახლეობამ საკარმიდამო მიწები უფასოდ დაარეგისტრირა. ლევან ალაფიშვილი ამბობს, რომ სახელმწიფომ წინასაარჩევნოდ პოლიტიკური გადანყვიტება მიიღო, როდესაც აღნიშნული სერვისის საფასური გააუქმა.

საჯარო რეესტრის სააგენტოს შემოსავალი 2009 წელს 22 მილიონი ლარი იყო, 2010 წელს – 33 მილიონი, 2011 წელს კი – 40 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

## პრობაციის ეროვნული სააგენტო

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით პრობაციის ეროვნულ სააგენტოში პრობაციონერების ნაკადი არ წყდება. პირობითი მსჯავდებულები აქ რეგისტრაციას ყოველ კვირა გადაიან. ქვეყანაში დღეს 33 000-მდე პირობითი მსჯავდებულთა სააგენტო, რომელიც სასჯელალსრულების სამინისტროს მიერ შექმნილი სსიპია, პრობაციონერებს სპეციალურ სერვისებს სთავაზობს. მაგალითად, 400 ლარის გადახდის შემთხვევაში, პირობით მსჯავდებულს ბიუროში მისვლის ვალდებულება კვირაში ერთი ნაცვლად თვეში ერთხელ ექნება.

პირობით მსჯავდებულებს 2010 წლიდან სპეციალური კომისიის დადებითად გადანყვიტის შემთხვევაში, საზღვარგარეთ გამგზავრება შეუძლიათ, თუმცა ამისთვის თანხა უნდა გადაიხადონ.

- ა) ერთ თვემდე ვადით გამგზავრებისას – 600 ლარი;
- ბ) ერთიდან სამ თვემდე – 1200 ლარი;
- ე) ცხრიდან თორმეტ თვემდე – 3400 ლარი

პრობაციონერთათვის დანესებულია ჯარიმებიც. ანუ, თუ პრობაციონერი მისთვის დანიშნულ დროს სააგენტოში არ გა-

მოცხადა, 100 ლარის გადახდა მოუწევს, განმორების შემთხვევაში კი – 200 ლარის. პრობაციონერები აცხადებენ, რომ სააგენტოს მიერ დანესებული საფასური ძალიან ძვირია.

ჩვენ ადგილზე მისულ პრობაციონერებს გავესაუბრეთ:

„ერთხელ მომივიდა ისე, რომ გადავაცილე. სამშაბათს უნდა მოვსულიყავი და ოთხშაბათს მოვედი. ცუდად ვიყავი, ექიმი ვერ გამოვიძახე, მარტო ვცხოვრობ, მაგრამ ჯარიმა მაინც გადამხდევინეს“.

„ფულის მახევა, ამიტომ რაც მეტი პრობაციონერი ეყოლებოდა მით მეტი შემოსავალი ექნებოდათ და ისეთ უაზრობებზეა ზოგი დაჭერილი.“

„ერთ გაცდენაზე არის 100 ლარი, მეორეზე 200, მე მქონდა ეგ ბედნიერება, დამავინყდა ერთხელ და გადავიხადე 100 ლარი, რა უნდა მექნა.“

ალსანიშნავია, რომ სააგენტოს შემოსავლები ყოველწლიურად იზრდება, 2010 წელს თუ მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 მილიონი ლარი შეადგინა, 2011 წელს ეს თანხა გაორმაგდა და 4 მილიონს გადააჭარბა. სასჯელალსრულების სამინისტროში აცხადებენ, რომ სანებართვო მოსაკრებელთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს.

„არის გარკვეული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს თუ არა ასეთი სახის და ამ ოდენობის მოსაკრებლები და ჯარიმებიც. ეს არის მსჯელობის საგანი, ამაზე ვფიქრობთ, მალე საზოგადოებისთვის იქნება ცნობილი, თუ როგორი იქნება მიდგომა“, – აცხადებს მინისტრის მოადგილე გოგა გიორგაძე

## შემოსავლების სამსახური

2009 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში, „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ წარადგინა და განაცხადა, რომ ქვეყანაში გადასახადები აღარ გაიზრდებოდა.

„ნებისმიერი გადასახადის შემოღება, ან საგადასახადო განაკვეთის გაზრდა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ გამონაკლისის სახით რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით. დაბალი და მარტივი გადასახადები ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარია, რაც იზიდავს ქვეყანაში ინვესტიციებს,

აჩენს სამუშაო ადგილებს და რაც ხალხს და ბიზნესს უტოვებს ფულს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

უფრო მეტიც, მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამშენობლო-მოსავლო გადასახადი, რომელიც 20%-ია, 2015 წლამდე ეტაპობრივად 15%-მდე შემცირდებოდა. მართალია, ხელისუფლებამ გადასახადები ვერ შეამცირა, თუმცა ამ განცხადების პარალელურად რამდენიმე თვეში ბიზნესისთვის ახალი ფასიანი სერვისები დაწესდა. „მცირე მენარმეთა ასოციაციის“ დირექტორი აცხადებს, რომ შემოსავლების სამსახურმა ბოლო პერიოდში მომხმარებელს ბევრი სიახლე შესთავაზა, თუმცა მათი უმრავლესობა ფასიანია. ერთერთი სერვისია კანონის განმარტება, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს. აღნიშნული სერვისის ღირებულება 5 000 ლარიდან – 30 000-მდე მერყეობს.

„მენარმეები იხდიან გადასახადებს იმისთვის, რომ ქვეყანაში იყოს კარგი ბიზნეს გარემო და კანონი დაწერილი იყოს მათთვის მარტივად, გასაგებ ენაზე. ხოლო ეს სერვისი დამატებით გვადებს ტვირთს, რომ გადავიხადოთ კიდევ თანხები და მივიღოთ ამა თუ იმ ნორმის განმარტება, რომელშიც ჩვენ რეალურად გადასახადები გადავიხადებთ“, – ამბობს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი კახა კოჭორიძე.

მენარმეები სხვადასხვა საკითხებში საგადასახადოსგან რჩევას ცხელი ხაზის საშუალებით იღებდნენ. თუმცა, უკვე ერთი წელია შემოსავლების სამსახურმა ცხელი ხაზი გააუქმა. სამაგიეროდ ახალი სერვისი – პირადი საგადასახადო მრჩეველის მომსახურება შემოიღო და ფასიც დააწესა. ერთწლიანი მომსახურება გადამხდელის სტატუსის მიხედვით 1000-იდან 3000 ლარამდეა.

კიდევ ერთი სერვისი 2011 წელს შემოსავლების სამსახურმა გაფორმების ეკონომიკური ზონის სახით შემოიღო. მენარმე, რომელსაც ქვეყანაში იმპორტული საქონელი შემოაქვს, ვალდებულია გეზის მომსახურებით ისარგებლოს. 3000 ლარის ღირებულების პროდუქციის შემოტანის შემთხვევაში გეზის სერვისის საფასური 150 ლარია, 3000 ლარზე ზევით ტვირთის მომსახურება კი – 300 ლარს შეადგენს.

მცირე ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გეზის სერვისის შემოღება მათ მიმე ტვირთად დააწვიათ.

„20 ლარს ვიხდით – დეკლარაციის, მერე ტერმინალის ფულს, გეზის კიდევ 150 ლარს, სულ გამოდის 210 ლარის მომსახურება. რას გვემსახურებინ ამისთანას, გავგაგებინონ, რომ 210 ლარი გადავიხადოთ. გადაზიდვის ფული კიდევ ცალკე, საერთო თანხის 18%. დღე, წლიური საშემოსავლო, ადგილის ფული და ბავშვებს რა ვაჭამო?“ – წერილი მენარმის აზრს იმეორებს მამუკა ნოზაძე.

შემოსავლების სამსახურმა მხოლოდ სერვისიდან შემოსავალი 2012 წელს – 97 მილიონი ლარი მიიღო, 2010 წელს კი ეს თანხა 5 მილიონ ლარს შეადგენდა.

## ■ საბიუჯეტო შემოსავლების მიხედვით, 2009 წელს სსიპების მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 148 მილიონი ლარი შეადგინა, 2010 წელს ეს თანხა 309 მილიონ ლარამდე გაიზარდა, 2011 წელს კი, 552 მილიონ ლარს გადააჭარბა.

### რამდენჯერმე გაზრდილი მოგება

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, სსიპების გარკვეული ნაწილი მოგებაზე მუშაობს. ფინანსური მონაცემები მხოლოდ ორმა ორგანიზაციამ მოგვანოდა. სამოქალაქო რეესტრის გაუნაწილებელი მოგებამ 2010 წელს 9 მილიონ 500 000 ლარი შეადგინა, 2011 წელს კი – 54 მილიონს გადააჭარბა. შემოსავლების სამსახურის გაუნაწილებელი მოგება 2010 წელს 3 მილიონი ლარი იყო, 2011 წელს კი – 40 მილიონს გადააჭარბა.

„ერთმნიშვნელოვნად ირღვევა კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ. მაგალითად, თუკი რომელიმეს

ბალანსზე 54 მილიონი დეკლარირებული გაუნაწილებელი მოგება აქვს, ეს ნიშნავს, რომ ის დამხმარე აღარ არის უკვე და ახორციელებს კომერციულ საქმიანობას“, – აცხადებს ალაფიშვილი.

მომსახურების ბაზარზე სახელმწიფო რომ ეკონომიკური აგენტის ფუნქცია შეიძინა, სახელმწიფო აუდიტის დასკვნებშიც არაერთხელ იქნა აღნიშნული. „სახელმწიფო მომსახურების ბაზარზე ეკონომიკური აგენტის ფუნქცია შეიძინა, რადგან სსიპების ნაწილი მხოლოდ სერვისიდან მიღებული შემოსავლებით ფინანსდება და არა ბიუჯეტიდან. რაც რიგ შემთხვევებში არასამართლიანია“, – ნათქვამია სახელმწიფო აუდიტის 2011 წლის დასკვნაში.

### ბინები თანამშრომლებისათვის

სად იხარჯებოდა ხალხის მომსახურებისთვის ბიუჯეტში შესული თანხები? სსიპების ბიუჯეტებით სამინისტროებმა თანამშრომლებისთვის ბინების მშენებლობა დაიწყო. კორპუსები აშენდა კახეთის გზატკეცილზე, მშენებლობა მიდის აღმშენებლის ხეინის მე-10 კილომეტრზე, ახალციხესა და ანაკლიაში. ბინების მშენებლობაში 2 მილიონ ლარზე მეტი გადაიხადა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, 300 000 ლარამდე დახარჯა სსიპ შემოსავლების სამსახურმა. რამდენიმე პროექტში მიიღო მონაწილეობა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და საერთო ჯამში ბიუჯეტიდან 2 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო.

იურისტი ლია მუხამაგია ამბობს, რომ სახელმწიფო სერვისების ფასი უნდა იყოს იმდენი, რამდენი ხარჯიც აქვს კონკრეტულ მომსახურებას. ახლა კი მომსახურება მოგებაზეა ორიენტირებული: „ეს არის იმდენად ნამეტი თანხა და იმდენად მოჭარბებული ოდენობა, რომ სსიპმა აღარ იცის, რა უყოს და თავს უფლებას აძლევს, რომ კორპუსები ააშენოს და გაანაწილოს ბინები, ეს მიუთითებს იმას, რომ მომსახურების გადასახადის ოდენობა არის გაზრდილი და ძალიან მაღალი“.

ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს საჯარო სამართლის მომსახურების საფასურის შესწავლა-დამუშავება და საბოლოო შედეგები უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. **■**

# ვინ ახონს ხოლმე საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორს

ინტერნეტპროვაიდერთა მფლობელობის გაუმჭვირვალობა, ონლაინ მედიის პრობლემები, ინტერნეტმომხმარებელთა უფლებების დარღვევა, მათი ინფორმაციის უსაფრთხოება, – ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ახალი კვლევა ეხება.

## ეკა მაღალდაძე

კვლევის თანახმად, ინტერნეტი საქართველოში, ფაქტობრივად, თავისუფალია მთავრობის ცენზურისგან. ქვეყანაში არ დაფიქსირებულა ონლაინ სერვისებისა და აპლიკაციების დაბლოკვის ფაქტები, მსჯავრდებულებს შორის არ არიან ბლოგერები და ონლაინ აქტივისტები, როგორც ეს ზოგიერთ მეზობელ ქვეყანაში ხდება. Freedom House-ის 2012 წლის მონაცემებითაც, საქართველოში ინტერნეტი თავისუფალია, მაშინ როდესაც 2011 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ინტერნეტსფერო მხოლოდ ნაწილობრივ თავისუფლად შეფასდა.

„შესწავლის შედეგად გამოაშკარავდა მსხვილი კომპანიების ბურუსით მოცული მფლობელების საკითხები და ხელისუფლების მიერ მომხმარებელთა კომუნიკაციის სისტემატური და თვითნებური კონტროლი,“ – ვკითხულობთ გამჭვირვალობის კვლევაში.

ინტერნეტპროვაიდერები თავიანთი კლიენტების შესახებ საკმაოდ დიდ ინფორმაციას

ფლობენ, როგორცაა ტელეფონის ადგილმდებარეობა, დეტალური მონაცემები მათი სატელეფონო შეტყობინებებით განხორციელებული კომუნიკაციისა თუ საინტერნეტო საქმიანობის შესახებ.

ვინ არიან ისინი, ვინც ამდენი იციან ჩვენ შესახებ? როგორ მართავენ და ინახავენ ისინი თავიანთი მომხმარებლების კუთვნილ და მათ შესახებ არსებულ ინფორმაციას, ან რა პირობებით გაიცემა ეს ინფორმაცია?

„ყველა მსხვილ ქართულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას – „ჯეოსელს“, „მაგთიკომს“, „ბილაინს“, „სილქნეტს“, „კავკასუს ონლაინსა“ და „ახალ ქსელს“ – ოფშორული ფიქტიური კომპანიები ფლობენ, რომლებსაც მხოლოდ საფოსტო ყუთი აქვთ და ოფისი და თანამშრომლები არ გააჩნიათ. როგორც წესი, ძალიან რთულია, ხშირად შეუძლებელიც კი, ბენეფიციარი მფლობელების ვინაობის საჯარო დოკუმენტებიდან დადგენა.“



„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მედია-ნალიტიკოსის მამუკა ანდლულაძის განმარტებით, ბევრ შემთხვევაში მფლობელთა ვინაობის დადგენა ქართული რესურსებით შეუძლებელი იყო და ამისთვის მათ დამატებით, უცხოური რესურსების გამოყენება დასჭირდათ.

კვლევის მიხედვით, „მაგთიკომის“ მესაკუთრეთა სტრუქტურა საკმაოდ რთული და ბუნდოვანია. მას დელავერში რეგისტრირებული ფიქტიური კომპანიები ფლობენ. „მაგთის“ ხელმძღვანელობამ დაუდასტურა „გამჭვირვალობას“, რომ ედუარდ შევარდნაძის სიძე გიორგი ჯოხთაბერიძე კვლავ ფლობს კომპანიის 51%-ს, აქციების ნაწილს კი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის კუთვნილი კომპანიები ფლობენ.

„ჯეოსელის“ მფლობელი „ტელიასონერა“ და „ბილაინის“ აქციების 51%-ის მფლობელი „ვიმპელკომი“ მსხვილ ბირჟებზე კოტირებული კომპანიებია, ამიტომ მათი მფლობელობის

სტრუქტურა გარკვეულია. სხვა ოპერატორები კი არც ვებ-გვერდებზე და არც კომპანიების რეესტრში ბენეფიციარი მფლობელების ვინაობას არ ამხელენ.

„მობიტელს“, რომელიც ქართულ ბაზარზე „ბილაინის“ სახელით ოპერირებს, სამი ფიქტიური კომპანია ფლობს, რომლებიც ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული. 49%-ის მფლობელები კი (პირები, რომლებიც Delgado Resources da Investico Alliance-ის უკან დგანან და ერთსა და იმავე მისამართზე არიან რეგისტრირებულები) კვლავ ჩრდილში რჩებიან. „მობიტელმა“ ამ ორი იურიდიული პირის უკან მდგომი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციის კითხვებს არ უპასუხა.

„გამჭვირვალობა“ მიუთითებს, რომ „ბილაინის“ თანამფლობელის Delgado Resources-ის და „კავკასუს ონლაინის“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი კომპანია International

Online Networks-ის უკან შესაძლოა ერთი და იგივე ადამიანები იდგნენ, რომლებმაც ნდობით აღჭურვილ ნარმომადგენლად ლევან ყარამანიშვილი დანიშნა. ერთი მხრივ ყარამანიშვილი უფლებამოსილია „კავკასუსში“ ხელი მოაწეროს, შეადგინოს და დაასრულოს ნებისმიერი დოკუმენტი კომპანიის სახელით, „მობიტელ-ბილაინში“ კი ყარამანიშვილი კომპანიის ოფიციალური დამფუძნებელი და საბჭოს წევრი იყო. ლევან ყარამანიშვილი „რუსთავი 2-ის“ უმსხვილესი აქციონერიც იყო. ასევე ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული იმ კომპანიის ნარმომადგენელი, რომელიც რესტორნების ქსელ GMC ჯგუფის მფლობელია. კომპანია ფლობს „თბილისი ცენტრალსაც“, რომლის დირექტორიც ასევე ყარამანიშვილია.

„კავკასუს ონლაინმა“ „გამჭვირვალობა“ მფლობელების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა, რეესტრის მონაცემებით კი „კავკასუს ონლაინსაც“ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ფიქტიური კომპანია ფლობს, რომლის უკან მდგარი კომპანიის ბენეფიციარი მფლობელის ვინაობა უცნობია. 30%-ის მფლობელი კი დამფუძნებელს, მამაია სანადირაძეს ეკუთვნის. ოქტომბერში, მთავრობის ცვლილების შემდეგ სანადირაძემ განაცხადა, რომ 2010 წელს მას კომპანიის 50%-ის GMC ჯგუფისთვის მიყიდვა აიძულეს.

■ „ყველა მსხვილ ქართულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას – „ჯეოსელს“, „მაგთიკომს“, „ბილაინს“, „სილქნეტს“, „კავკასუს ონლაინსა“ და „ახალ ქსელებს“ – ოფშორული ფიქტიური კომპანიები ფლობენ, რომლებსაც მხოლოდ საფოსტო ყუთი აქვთ და ოფისი და თანამშრომლები არ გააჩნიათ.“

კვლევის ავტორებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი მომხმარებელთა მონაცემების შენახვისა და მეთვალყურეობის ლეგალურობაა. ისინი განმარტავენ, რომ აუცილებელია მომხმარებლებმა იცოდნენ თუ როგორ ინახება და იმართება მათი მონაცემები და რა შემთხვევაში გახდება ეს ინფორმაცია სხვისთვის ცნობილი.

ტელეკომ-პროვაიდერებს კლიენტების სახელებისა და მისამართების საიდუმლოდ შენახვა კანონით მოეთხოვებათ. ასევე დაუშვებელია მომხმარებლის მიერ გამოყენებული მომსახურების სააბონენტო გადასახადების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება. „გამჭვირვალობამ“ დაადგინა, რომ არცერთ კომპანიას ვებგვერდზე არ აქვს გამოქვეყნებული ინფორმაცია კლიენტების მონაცემთა მართვის შესახებ. გაურკვეველია რა სახის ინფორმაციას ინახავენ ისინი და რამდენი ხნით ან როგორ იცავენ ამ მონაცემებს.

„სილქნეტმა“ საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, აღმასრულებელი ხელისუფლე-

ბისთვის კლიენტების შესახებ ინფორმაციის გადაცემის 140 ფაქტი დაადასტურა. „მაგთიკომმა“ კი აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან კლიენტის მონაცემების მოთხოვნის თითქმის ყველა შემთხვევა კლიენტის მისამართსა და სააბონენტო მომსახურების საფასურის გადახდას ეხებოდა.

ერთ-ერთი მსხვილი ტელეკომპროვაიდერის ხელმძღვანელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ორგანიზაციას განუცხადა, რომ შსს-ის, კუდ-სა და სოდ-ს უსაფრთხო კომუნიკაციის პროვაიდერთა ინფრასტრუქტურაში მათივე დამონტაჟებული მონაცემების საშუალებით ყველა კომუნიკაციით პირდაპირი სარგებლობის საშუალება ჰქონდათ.

„ბევრი მუშაობაა საჭირო ელექტრონული კომუნიკაციის თვითნებური და სისტემატური მონიტორინგის პრობლემაზე. როგორც ჩანს, შსს-ს კვლავ მიუწევდა ხელი სატელეკომუნიკაციო კომპანიების ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე, რაც სამინისტროს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს ელექტრონულ კომუნიკაციას,“ – განმარტავენ ორგანიზაციაში.

„გამჭვირვალობა“ მთავრობას მიმართავს, რომ მოქალაქეთა ელექტრონული კომუნიკაციის არალეგალური მონიტორინგის თავიდან ასაცილებლად გადადგას ქმედითი ნაბიჯები. ასევე რეგულარულად გამოაქვეყნოს ინფორმაცია იმ საქმეების შესახებ, რომლებიც სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით მომხმარებელთა მონაცემების გამჟღავნებას და ელექტრონული კომუნიკაციის კონტროლს გულისხმობს. პარლამენტმა კი მეთვალყურეობა გაუწიოს აღმასრულებელ და დახვეწის სააგენტოებს, რომ დარწმუნდეს – ხომ არ ხდება მოქალაქეთა ელექტრონული კომუნიკაციის სისტემატური, არალეგალური და თვითნებური კონტროლი. ასევე კომისიას დაქვემდებარებული სატელეკომუნიკაციო კომპანიები დაავალდებულოს - გამჟღავნონ ბენეფიციარი მფლობელების ვინაობა, როგორც ეს მოეთხოვებათ მანუყებლობის ლიცენზიის მფლობელებსა და ბანკებს.

„ბილაინის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ტყეშელაშვილმა, კვლევის პრეზენტაციის შემდეგ გამართულ დისკუსიაზე განაცხადა, რომ ისინი კანონის დაცვით გადასცემენ მფლობელთა შესახებ ინფორმაციას კომუნიკაციების მარეგულირებელ ინფორმაციას, მომხმარებელთა მონაცემებს კი – შსს-ის მოთხოვნის შესაბამისად.

# იოტა iOS-ისტვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველგან!

იპითხე კომპიუტერულად!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

იოტა iOS-ისტვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იპითხოთ [lit.ge](http://lit.ge)-ს ნიშნები და პერიოდობა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

კალიკანის გადმოსაწერად, თქვენი მონეტარილოგიდან iTunes-ზე მოძიებეთ „IOTA READER“



■ როგორც ჩანს, შსს-ს კვლავ აქვს წვდომა სატელეკომუნიკაციო კომპანიების ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე, რაც სამინისტროს საშუალებას აძლევს თვალყურის ადევნოს ელექტრონულ კომუნიკაციას“.

დისკუსიას ესწრებოდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხატია ყურაშვილიც, რომელმაც განმარტა, რომ მფლობელობის ცვლილების შესახებ კომპანიამ პირველ რიგში კომისიას უნდა აცნობოს, რაც შესაბამისად აისახება ამ კომპანიის შესახებ არსებულ მონაცემებში. ამიტომ მფლობელობის გამჭვირვალობა, თუნდაც საზღვარგარეთ მყოფების, პრობლემა არ არის.

თუმცა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა მარიამ გოგოსაშვილმა დისკუსიაზე განმარტა, რომ ხშირად კონკრეტული ინფორმაციის მიღება არც ისე ადვილია, „კომპანიები კომისიას მართალია მფლობელთა შესახებ ინფორმაციას აწოდებენ, მაგრამ ზოგჯერ ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად აღიარებას მოითხოვენ და ამ დროს დაინტერესებული პირებისთვის ეს ინფორმაცია დახურული ხდება. სასურველია, რომ მფლობელთა გამჭვირვალობის საკითხი კანონმდებლობით დარეგულირდეს და ეს მათ კეთილ ნებაზე არ იქნება დამოკიდებული,“ – აღნიშნავს გოგოსაშვილი.

კიბერუსაფრთხოების ცენტრის დირექტორის ლევან ბოძაშვილის თქმით, პირველხარისხოვანია მომხმარებლის მონაცემები და მისი უფლებები დაცული იყოს: „ჩვენი განხორციელებული ინტერნეტტრაფიკი არ უნდა იყოს სხვა პირებისთვის გადაცემის საფრთხის ქვეშ, სასამართლოს სანქციის გარეშე ამგვარი ინფორმაციის გაცემა კანონით არ შეიძლება. კომპანია ვალდებული უნდა იყოს, რომ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მომხმარებელს აცნობოს.“

კითხვაზე, აფრთხილებენ თუ არა ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელს იმის შესახებ თუ რა შემთხვევაში გასცემენ მათ ინფორმაციას, „ბილანის“ გენერალურმა დირექტორმა განმარტა, რომ ისინი კანონის მოთხოვნებს ასრულებენ, ამას კი კანონი არ ავალდებულებს. „თანაც გამოდის, რომ ნებისმიერი ნომრის გაყიდვისას კლიენტს მთელი კანონმდებლობა უნდა გავაცნოთ, რომელიც ძალიან ხშირად იცვლება. ყველაფრის შესახებ ადამიანის გაფრთხილება ძნელია, თუმცა, დამერწმუნეთ, უკანონოდ ამ ინფორმაციის მესამე პირზე გაცემა არასდროს ხდება, ამას არც ჩვენ ვაკეთებთ და არც სხვა კომპანიები.“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თავმჯდომარე ეკა გიგაურმა „ბილანის“


ხელმძღვანელსა და სხვა კომპანიებს იურიდიული დახმარება შესთავაზა ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, როცა კი ისინი მიიჩნევენ, რომ მათი მომხმარებლების უფლებები შეიძლება დაირღვეს. „თუ მიიჩნევთ, რომ მომხმარებელთა პირადი ინფორმაცია შესაძლოა უკანონოდ გამოყვანილი იყოს, ან ფიქრობთ, რომ რიგ საკითხებს კანონმდებლობა სათანადოდ არ არეგულირებს, ჩვენ შეგვიძლია საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებაშიც დაგეხმაროთ“.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა და საჭირო უნარ-ჩვევების არსებობაა. საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ყოველდღიურად მოიხმარს ინტერნეტს. რაც შეეხება სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, მათგან მხოლოდ 7% ამბობს, რომ ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებს. „კავკაზუს ბრომეტრის“ კვლევის მიხედვით, ზრდასრული მოსახლეობის 57%-ს საერთოდ არ აქვთ კომპიუტერის გამოყენებისთვის საჭირო ბაზისური ცოდნა. საშუალო ან კარგი ცოდნა რესპოდენტთა მხოლოდ 27%-ს აქვს.

ინტერნეტის გამოყენებლობის ძირითად მიზეზად გამოკითხულთა უმეტესობა, როგორც წესი, კომპიუტერის არქონას უთითებს. ასევე დიდა მათი რიცხვი, ვინც ინტერნეტის შესაძლებლობებისა და სარგებლიანობის შესახებ არ იცის. რაც შეეხება საფასურს, 2011 წლისთვის მათგან, ვინც ინტერნეტს არ იყენებს, მხოლოდ 1%-მა აღნიშნა, რომ ამის მიზეზი გადახდის უუნარობა იყო.

„გამჭვირვალობის“ კვლევის თანახმად, სატელევიზიო სადგურებთან შედარებით, რომელთაგან ბევრი პოლიტიკურ ფიგურებს უკავშირდება ან მათ მიერ ფინანსდება, ონლაინ მედია პოლიტიკური კავშირებით არ ხასიათდება. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონული საინფორმაციო ვებ-გვერდები. ზოგადად კი, ონლაინგამოცემების რედაქტორებს მიაჩნიათ, რომ ინტერნეტ ბაზარი თავისუფალია და მასზე მოხვედრა ახალი მოთამაშეებისთვის რთული არაა. თუმცა მნიშვნელოვან პრობლემად სარეკლამო შემოსავლების მოზიდვა რჩება. უმეტესობა რეკლამებზე ყოველთვიური გადახდის სისტემას იყენებს და არა ნახვების მიხედვით ანაზღაურებას. უფრო მეტად კი ისინი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერაზე არიან დამოკიდებულინი. ■





[www.facebook.com/TalkShowLiberal](http://www.facebook.com/TalkShowLiberal)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ-შოუ "ლიბერალი" მსმენელს მიმდინარე მოვლენებზე, ფაქტებზე დაყრდნობილ, განსხვავებულ თვალსაზრისებს სთავაზობს.

გადაცემა მიუკერძოებლად და ობიექტურად საუბრობს ისეთ თემებზე, რომლებიც ქართულ მედიაში, როგორც წესი, მარგინალიზებულია.

გადაცემის მიზანია სადისკუსიო საკითხების სივრცის გაფართოება; იქნება ეს განათლების პოლიტიკა, ჯანდაცვა, სამართალი, ქსენოფობიის და ფუნდამენტალიზმის ნიშნები ქართულ საზოგადოებაში, უმცირესობის წარმომადგენლების უფლებების შელახვა და სხვა.

ეთერში გასვლის დრო: ყოველი სამუშაო დღე - 19:00

განმეორებით: ყოველი სამუშაო დღე - 02:00



ტოკ-შოუ "ლიბერალის" ავტორები და წამყვანები:



შორენა შავერდაშვილი



ნინო ბექიშვილი



ლიკა ზაკაძე



ნინია კაკაბაძე



თინა უშვილი



„თუ საჭირო გახდება, 5-ჯერ მეტი პოლიცია უნდა მივიყვანოთ თუნდაც ერთი მოქალაქის დასაცავად. ამ ნაწილში პასუხისმგებლობას არ უნდა გავექცეთ. თუმცა, ამასობაში, როდესაც თავად გეგმავენ მაპროვოცირებელ ქმედებებს რათა გადაფარონ მოვლენები, ამაზე პასუხისმგებლობა ჩვენ ვერ დაგვეკისრება. მე მინდა დღევანდელი დღე იყოს გაკვეთილი მათთვის, ვისაც გაკვეთილის მიღება შეგვიძლია“ –

**პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი მოვლენების შესახებ**



„დიდი პრობლემა არის ის პოლიტიკური დაკვეთა, ის სულისკვეთება, ის სტილი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ უმაღლესი სახელისუფლებო პირებისგან, პრემიერ-მინისტრით დანწყებული. ეს არის მიუღებლობა, აგრესიულობა არამხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ, არამედ გუნდის შიგნითაც“ –

**უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია**



„დემოკრატიაში არსებობს საბაზისო პრინციპები, რაც არ უნდა მიგაჩნდეს, რომ მართალი ხარ და არასწორად მოგექცნენ, ძალადობას გამართლება არა აქვს. ჩვენ ვგმობთ ძალადობას“ –

**აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნოლანი**



„ჩვენ გვყავდა ერთი პრეზიდენტი საქართველოს დამოუკიდებლობის დასაწყისში, რომელიც ბოლოს გამოკეტეს მთავრობის სახლში და ბოლოს ამ მთავრობის სახლის ბუნკერში, სარდაფში, რითი დამთავრდა ეს ისტორია, უფრო სწორად როგორ არ დამთავრდა და როგორ გრძელდება აფხაზეთში, ცხინვალში და ა.შ.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით“ –

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი**



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



 RBS



NATIONS™

ჩვენს ჩრის რეპორტინტი  
2 თებერვლინს  
ყოვნი პეპით ქვირანს

